

სასამართლო მედიცინა

/ხანგრძლივობა – 3 წ. - 33 თვე/

1. პროგრამის მიზანი და ამოცანები

დიპლომის შემდგომი სამედიცინო განათლების პროგრამა სასამართლო მედიცინაში განკუთვნილია უმაღლესი სამედიცინო განათლების მქონე დიპლომირებული მედიკოსებისათვის.

პროგრამის მიზანია მოამზადოს საფუძვლიანი თეორიული და პრაქტიკული ცოდნით აღჭურვილი სპეციალისტი – სასამართლო ექიმი.

სასამართლო მედიცინის პროგრამის გავლისას სტუდენტი შეიძენს ცოდნას ყველა იმ სამედიცინო-ბიოლოგიურ საკითხის შესახებ, რომელიც აღიძვრება იურიდიული ორგანოების წინაშე გამოძიების პროცესში სისხლის სამართლის ან სამოქალაქო საქმეების განხილვის დროს; სიკვდილის ნაძალადევი და არანაძალადევი კატეგორიების, მათი გვარობებისა და სახეობების შესახებ; ჯანმრთელობის მდგომარეობის ექსპერტზასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ, სხეულის დაზიანებებისა და მათი სიმძიმის ხარისხების შესახებ; სქესობრივ სფეროსთან დაკავშირებული საექსპერტიზო საკითხების შესახებ; სამედიცინო კრიმინალისტიკური და იდენტიფიკაციის საკითხების შესახებ; საექიმო დანაშაულისა და საექიმო შეცდომის, საექიმო პრაქტიკაში უბედური შემთხვევებისა და იატროგენიის შესახებ.

სასამართლო მედიცინის პროგრამის გავლით სტუდენტი შეიძენს უნარს და შეძლებს დამოუკიდებლად ჩაატაროს სხვადასხვა სახის სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა, შეადგინოს ექსპერტის დასკვნა, მონაწილეობა მიიღოს საკომისიო და კომპლექსურ ექსპერტიზებში და გააფორმოს შესაბამისი დოკუმენტაცია, თავისი კომპეტენციის ფარგლებში კვალიფიციურად და ეფექტურად დაეხმაროს იურიდიულ ორგანოებს გამოძიების პროცესში სისხლის სამართლისა და სამოქალაქო საქმეების განხილვის დროს.

2. სპეციალურის აღწერილობა

სასამართლო მედიცინა შეისწავლის იმ სამედიცინო-ბიოლოგიურ საკითხებს, რომლებიც აღიძვრება იურიდიული ორგანოების წინაშე გამოძიების პროცესში სისხლის სამართლის ან სამოქალაქო საქმეების განხილვის დროს, და ეხმარება ჯანდაცვის ორგანოებს სამკურნალო-პროფილაქტიკური დახმარების ხარისხის ამაღლებაში.

სასამართლო მედიცინის პრაქტიკულ ნაწილს სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა წარმოადგენს.

სასამართლო სამედიცინო ექსპერტი შეიძლება იყოს უმაღლესი სამედიცინო განათლების მქონე დიპლომირებული ექიმი, რომელიც სპეციალურად არის მომზადებული სასამართლო მედიცინაში (დიპლომის შემდგომი სამედიცინო განათლების/რეზიდენტურის პროგრამის ფარგლებში) და აქვს ამ დარგში დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატი.

სასამართლო სამედიცინო ექსპერტის **კომპეტენციას** მიეკუთვნება:

1. გვამების ექსპერტიზა ნაძალადევი სიკვდილის შემთხვევებში;
2. გვამის ექსპერტიზა ძალადობაზე ეჭვის ან სხვა გარემოებების არსებობისას, რომლებიც განაპირობებენ გვამის სასამართლო სამედიცინო წესით გამოკვლევის აუცილებლობას;
3. დაზარალებულის, ბრალდებულის ან სხვა პირების ექსპერტიზები, ასევე მოქალაქეთა სასამართლო სამედიცინო შემოწმება სხეულის დაზიანების ხასიათის და სიმძიმის, ასაკის, სქესობრივი მდგომარეობისა და სხვა საკითხების დასადგენად;

4. ნიომტკიცებათა ექსპერტიზა კვლევის ლაბორატორიული მეთოდების გამოყენებით;
5. ექსპერტიზები სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმის მასალებით.

სასამართლო სამედიცინო ექსპერტს, როგორც სასამართლო მედიცინის სპეციალისტს, იწვევენ პირველად საგამოძიებო მოქმედებებში მონაწილეობის მისაღებად (გვამის დათვალიერება შემთხვევის ადგილზე, ექსპუმაცია, ნიმუშის აღება შედარებითი გამოკვლევისათვის, საგამოძიებო ექსპერიმენტში მონაწილეობა და სხვა).

სასამართლო სამედიცინო ექსპერტის უფლება-მოვალეობა და პასუხისმგებლობა განსაზღვრულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით.

სასამართლო სამედიცინო ექსპერტი **ვალდებულია:**

1. გამოცხადდეს გამოძიებლის, პროკურორის, სასამართლოს გამოძახებით;
2. მისცეს ჩვენება ჩატარებულ ექსპერტიზასთან დაკავშირებით წინასწარი გამოძიებისას ან სასამართლო განხილვის დროს;
3. მისცეს დასაბუთებული და ობიექტური წერილობითი დასკვნა დასმულ საკითხებზე;
4. კანონით დადგენილი წესით დაიცვას და დააბრუნოს კვლევის ობიექტები;
5. პროცესის მწარმოებელი ორგანოს ნებართვის გარეშე არ გაამჟღავნოს წინასწარი გამოძიების მასალები და ცნობები მოქალაქეთა პირადი ცხოვრების შესახებ, რომლებიც მისთვის ცნობილი გახდა;
6. განაცხადოს თვითაცილება, თუ ის სამსახურებრივად ან სხვაგვარად დამოკიდებულია საქმეში მონაწილე ამა თუ იმ პირზე ან/და ნათესაური ურთიერთობა აქვს მასთან ან თუ პროფესიულად არაკომპეტენტურად თვლის თავს;
7. ჩაატაროს ექსპერტიზები, გამოკვლევები და სხვა სახის საექსპერტო სამუშაოები თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად და დროულ ვადებში;
8. დაუფლოს რეკომენდირებულ გამოკვლევის ახალ მეთოდებს და გამოიყენოს ისინი პრაქტიკაში;
9. დროულად მიაწოდოს ინფორმაცია შესაბამის საგამოძიებო და სასამართლო ორგანოებს ექსპერტიზების დროს გამოვლენილ მონაცემებზე, რომლებიც არ იყო საქმეში ასახული, ასევე პირადი ინიციატივით ექსპერტიზის დამნიშნავ პირს ყურადღება გაამახვილებინოს იმ საქმის გარემოებაზე და ფაქტებზე, რომლებსაც აქვს არსებითი მნიშვნელობა საგამოძიებო და სასამართლო საქმიანობისათვის;
10. განუცხადოს განყოფილების გამგეს ან სასამართლო სამედიცინო საექსპერტო დაწესებულების ხელმძღვანელს დიაგნოსტიკური ან სამედიცინო დახმარებისას გამოვლენილი ყველა ნაკლოვანების შესახებ;
11. სისტემურად იზრუნოს თავისი თეორიული მომზადებისა და პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლებისათვის როგორც ინდივიდუალურად, ასევე სასამართლო სამედიცინო თათბირებში, კონფერენციებში, სასამართლო ექიმთა ასოციაციის კრებებში და სხვა ღონისძიებებში აქტიური მონაწილეობით;
12. იზრუნოს საშუალო და უმცროსი სამედიცინო პერსონალის კვალიფიკაციის ასამაღლებლად, მოთხოვოს მათ საკუთარი ვალდებულებების ზუსტი და დროული შესრულება, სამსახურებრივი და პროფესიონალური საიდუმლოების შენახვა, ფრთხილი მოპყრობა აპარატურასთან, ინსტრუმენტთან, ლაბორატორიულ ჭურჭელთან, თეთრეულთან და სხვა ინვენტართან;
13. დროულად შეადგინოს სამუშაო გეგმები და ანგარიშები;
14. ჩაატაროს საკუთარი სამუშაოს ხარისხობრივი მარეგულირების ანალიზი;
15. პირადად დაიცვას და მოსთხოვოს საშუალო და უმცროს სამედიცინო პერსონალს სათანადო სანიტარიულ-ჰიგიენური და ეპიდსაწინააღმდეგო რეჟიმის, ასევე უსაფრთხოების ტექნიკისა და შიდა სამუშაო განრიგის წესების დაცვა;
16. მოაწყოს და მიიღოს მონაწილეობა სასამართლო სამედიცინო კლინიკო-ანატომიურ კონფერენციებში, ექსპერტიზების დროს გამოვლენილი სამედიცინო დახმარების ნაკლოვანების აღმოჩენის შემთხვევაში;
17. სასამართლო სამედიცინო საექსპერტო დაწესებულების ბაზაზე მიიღოს მონაწილეობა დამწვებ ექსპერტთა მომზადებაში;

18. გაუწიოს კონსულტაციული დახმარება სამართალდამცავ ორგანოებს;
19. შევსებაში გასვლის ან ხანგრძლივი მივლინების შემთხვევაში გადასცეს განყოფილების გამგეს მასზე რიცხული ყველა საბუთი, მათ შორის დაუმთავრებელი ექსპერტიზები, გამოკვლევები და ასევე გამოკვლევისათვის განკუთვნილი ობიექტები.

სასამართლო სამედიცინო ექსპერტს უფლება აქვს:

1. გაეცნოს ექსპერტიზისათვის საჭირო საქმის მასალებს და ამოწეროს საჭირო ცნობები ან გადაიღოს ასლები;
2. მოითხოვოს დამატებითი მასალების წარდგენა;
3. უარი თქვას დასკვნის მიცემაზე ან ექსპერტიზის შემდგომ გაგრძელებაზე, თუ დასმული საკითხები სცილდება მისი სპეციალური ცოდნის ფარგლებს ან თუ მისთვის წარდგენილი მასალები საკმარისი არ არის დასკვნის მისაცემად;
4. გამოძიებლის, პროკურორის, სასამართლოს (მოსამართლის) ნებართვით დაესწროს საგამოძიებო მოქმედების ჩატარებას და დასაკითხ პირებს დაუსვას შეკითხვები, რომლებიც ექსპერტიზის საგანს განეკუთვნება;
5. სასამართლოს სხდომაზე მონაწილეობა მიიღოს ექსპერტიზის საგანს მიკუთვნებულ მტკიცებულებათა კვლევაში და სასამართლოს ნებართვით შეკითხვები დაუსვას დასაკითხ პირებს;
6. ჩამოაყალიბოს დასკვნა არამართო დასმულ საკითხებზე, არამედ ექსპერტიზის საგანს მიკუთვნებულ სხვა საკითხებზედაც, რომელთა გამოც მისთვის არ დაუსვამთ კითხვები;
7. შეადგინოს დასკვნა და მისცეს ჩვენება მშობლიურ ენაზე; თუ მან არ იცის სამართალწარმოების ენა, ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურებით;
8. გამოძიებლის მოქმედებები და დადგენილებები გაასაჩივროს პროკურორთან, ხოლო პროკურორის მოქმედება – ზემდგომ პროკურორთან;
9. გაეცნოს სასამართლოს სხდომის ოქმის იმ ნაწილს, რომელიც მის მიერ ჩატარებულ ექსპერტიზას ეხება და მოითხოვოს მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა;
10. გააკეთოს განცხადება მისი დასკვნის არასწორი ინტერპრეტაციის შესახებ;
11. დააყენოს საკითხი განყოფილების გამგის ან სასამართლო სამედიცინო საექსპერტო დაწესებულების ხელმძღვანელის წინაშე, მის დაქვემდებარებაში მყოფი საშუალო და უმცროსი სამედიცინო პერსონალის წახალისების ან დისციპლინური სასჯელის დადების თაობაზე.

სასამართლო სამედიცინო ექსპერტი პასუხისმგებელია:

1. მედიცინის მეცნიერებისა და ტექნიკის თანამედროვე მიღწევების შესაბამისად სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზების, გამოკვლევების და სხვა საექსპერტო სამუშაოების დროულ და კვალიფიციურ შესრულებაზე;
2. სასამართლო სამედიცინო დოკუმენტაციის დროულ და ხარისხიან შედგენაზე;
3. ექსპერტიზაზე (გამოკვლევაზე) შემოსული ნივთმტკიცებისა და სხვა მასალის შენახვაზე;
4. ექსპერტიზის დამნიშნავი ორგანოსთვის დასკვნების დროულ გადაცემაზე, ასევე იმ სამედიცინო დოკუმენტაციის, ნივთმტკიცების და სხვა მასალის დაბრუნებაზე, რომლებიც ექვემდებარება დაბრუნებას;
5. მუშაობის პროცესში მწვავე ინფექციურ დაავადებათა გამოვლინებისას დაუყოვნებლივ აცნობოს საექსპერტო დაწესებულების ხელმძღვანელს და დადგენილი წესით ჯანდაცვის სათანადო მმართველობით ორგანოებს და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამსახურს;
6. განსაკუთრებული შემთხვევისას, ასევე ჯანდაცვის სხვა პერსონალის მიერ შიდა სამუშაო წესების თანამდებობრივი ინსტრუქციების და შრომითი დისციპლინის დარღვევისას, დაუყოვნებლივ აცნობოს განყოფილების გამგეს ან საექსპერტო დაწესებულების ხელმძღვანელს;
7. გაუფრთხილდეს მასზედ განპირობებულ ინვენტარს და მოწყობილობას, სისუფთავეს სამუშაო ოთახში, დაიცვას ხელსაწყოების ტექნიკურად სწორი და რაციონალური ექსპლუატაციისა და ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების წესები.

სასამართლო სამედიცინო ექსპერტს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა ეკისრება:

1. ყალბი დასკვნის გაცემისათვის (საქართველოს სსკ 370);
2. მოკვლევის ან წინასწარი გამოძიების მონაცემების გახმაურებისათვის, თუ ის გაფრთხილებული იყო მონაცემების გახმაურების აკრძალვის შესახებ (საქართველოს სსკ 374);
3. გამოცხადებაზე და მოვალეობის შესრულებაზე უარის თქმის შემთხვევაში (საქართველოს სსსკ 97).

სასამართლო ექიმი უნდა ფლობდეს ცოდნას შემდეგი კანონების შესაბამისად:

- საქართველოს კონსტიტუცია
- საქართველოს კანონი “ჯანმრთელობის დაცვის შესახებ”
- საქართველოს კანონი “საექიმო საქმიანობის შესახებ”
- საქართველოს კანონი “პაციენტის უფლებების შესახებ”
- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი
- საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსი
- საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის განხრით
- საქართველოს სხვა კანონები და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები

სასამართლო ექიმის უნარ-ჩვევები

სასამართლო ექიმს უნდა შეეძლოს:

- სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარება საბაზისო და კლინიკურ ცოდნაზე დაფუძნებული გამოცდილების გამოყენებით;
- უჩვენოს შესაბამისი უნარ-ჩვევები იმ საექსპერტო ტექნიკის გამოყენებით, რომელსაც უნდა ფლობდეს კვალიფიციური სასამართლო ექიმი;
- აჩვენოს კრიტიკული აზროვნების უნარი საექსპერტო გადაწყვეტილებების მიღებისას;
- წარმართოს ეთიკური, იურიდიულად დასაბუთებული განსჯა, რაც შეეფერება მაღალი კვალიფიკაციის სასამართლო ექიმს;
- ეფექტურად ითანამშრომლოს კოლეგებთან და სხვა სპეციალობის ექიმებთან;
- ასწავლოს და გაუზიაროს შეძენილი ცოდნა და პრაქტიკული გამოცდილება კოლეგებს, რეზიდენტებს, სტუდენტებს და ჯანდაცვის სფეროს სხვა მუშაკებს;
- აჩვენოს მზადყოფნა უწყვეტი პროფესიული განათლებისათვის, რაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მომენტია სასამართლო ექიმის კვალიფიკაციის მუდმივი ამაღლებისა და სრულყოფისათვის;
- აჩვენოს სამეცნიერო კვლევების, ნაშრომების ადეკვატური აღქმისა და ინტერპრეტაციის უნარი, ამაღდროულად თვითონაც შეეძლოს სამეცნიერო კვლევის წარმართვა ან მასში აქტიური მონაწილეობა.

სასამართლო ექიმი უნდა ფლობდეს თავის სფეროში პროფესიული საქმიანობისთვის საჭირო თეორიულ და პრაქტიკულ ჩვევებს:

01.00.00. სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის საპროცესო და ორგანიზაციული საკითხები.

01.01.00. სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარების ძირითადი ნორმები სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით.

01.02.00. სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარების ორგანიზაცია.

01.03.00. სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის გაფორმება.

01.04.00. შემოწმების ოქმის გაფორმება.

01.05.00. საქართველოში სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის სამსახურის სტრუქტურა.

02.00.00. ავადმყოფობით გარდაცვლილთა სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა.

02.01.00. გულსისხლძარღვთა სისტემის ავადმყოფობით გარდაცვლილთა სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა.

02.02.00. ცენტრალური ნერვული სისტემის ავადმყოფობით გარდაცვლილთა სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა.

02.03.00. სასუნთქი სისტემის ავადმყოფობით გარდაცვლილთა სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა.

02.04.00. საჭმლის მომნელებელი სისტემის ავადმყოფობით გარდაცვლილთა სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა.

02.05.00. სიმსივნეებით გარდაცვლილთა სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა.

02.06.00. ინფექციური ავადმყოფობით გარდაცვლილთა სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა.

02.07.00. სხვა ავადმყოფობით გარდაცვლილთა სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა.

03.00.00. გვამების სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა მექანიკური დაზიანებით სიკვდილის შემთხვევაში.

03.01.00. გვამების სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა მკვრივი ბლავი საგნების მოქმედებით სიკვდილის შემთხვევაში.

03.01.01. გვამების სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა შემოსაზღვრული მოქმედი ზედაპირის მქონე მკვრივი ბლავი საგნების მოქმედებით სიკვდილის შემთხვევაში.

03.01.02. გვამების სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა ფართო მოქმედი ზედაპირის მქონე მკვრივი ბლავი საგნების მოქმედებით სიკვდილის შემთხვევაში.

03.01.03. მკვრივი ბლავი საგნებით მიყენებული დაზიანების აღწერის მეთოდთა.

03.02.00. გვამების სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა სხვადასხვა სატრანსპორტო საშუალებით განვითარებული სიკვდილის შემთხვევაში.

03.02.01. გვამების სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა მოძრავი ავტომობილის ფეხითმოსიარულეზე დაჯახებისას.

03.02.02. გვამების სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა მოძრავი ავტომობილის სალონში განვითარებული ტრავმისას.

03.02.03. გვამების სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა მოძრავი ავტომობილის საბურავით სხეულზე გადავლისას.

03.02.04. გვამების სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა მოძრავი ავტომობილიდან ვარდნისას.

03.02.05. გვამების სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა მოძრავ ავტომობილსა და უძრავ მკვრივ ბლავს საგანს შორის მოყოლისას.

03.02.06. გვამების სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა კომბინირებული სახეობის ავტოტრავმისას.

03.02.07. გვამების სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა მოძრავი მოტოციკლეტით განვითარებული ტრავმისას.

03.02.08. გვამების სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის მეთოდის თავისებურებანი სხვადასხვა სახის ავტოტრავმისას.

03.02.09. ავტოტრავმით სიკვდილის შემთხვევაში გვამიდან დამატებითი გამოკვლევისათვის ბიოლოგიური მასალის აღების მეთოდთა.

03.02.10. გვამების სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა სარკინიგზო სატრანსპორტო საშუალებით განვითარებული სიკვდილის შემთხვევაში.

03.02.11. გვამების სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა წყლის სატრანსპორტო საშუალებით განვითარებული სიკვდილის შემთხვევაში.

03.02.12. გვამების სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის მეთოდთა ავიაკატასტროფების დროს.

03.03.00. გვამების სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა სიმაღლიდან ვარდნისას.

03.03.01. გვამების სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა დიდი სიმაღლიდან ვარდნისას.

03.03.02. გვამების სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა წაქცევისას.

03.04.00. გვამების სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა მახვილი საგნების მოქმედებით სიკვდილის შემთხვევაში.

03.04.01. გვამების სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა მჭრელი საგნების მოქმედებით სიკვდილის შემთხვევაში.

03.04.02. გვამების სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა მხხვლეტა-მჭრელი საგნების მოქმედებით სიკვდილის შემთხვევაში.

03.04.03. გვამების სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა მხხვლეტავი საგნების მოქმედებით სიკვდილის შემთხვევაში.

03.04.04. გვამების სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა მწეხავი საგნების მოქმედებით სიკვდილის შემთხვევაში.

03.04.05. გვამების სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის თავისებურებანი მახვილი საგნების მოქმედებით სიკვდილის შემთხვევაში.

03.04.06. მახვილი საგნების მოქმედებით სიკვდილის შემთხვევაში გვამიდან დამატებითი გამოკვლევისათვის ბიოლოგიური მასალის (კანის ჭრილობის, დაზიანებული ძვლის) აღების წესები.

03.05.00. ცეცხლნასროლი ჭრილობების სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა.

- 03.05.01. ცეცხლსასროლი იარღი. ტყვიაწამალი. სროლის მექანიზმი. სროლის დამატებითი ფაქტორები. ადამიანის სხეულზე და ტანსაცმელზე ჭურვის მოქმედების მექანიზმი.
- 03.05.02. ძირითადი საკითხები, რომელიც აღიძვრება სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის წინაშე ცეცხლსასროლი დაზიანებების დროს.
- 03.05.03. ცეცხლსასროლი ჭრილობების შესავალი და გამოსავალი ხერხების დიაგნოსტიკა.
- 03.05.04. სროლის მანძილის დადგენა. სხვადასხვა მანძილიდან სროლის მორფოლოგიური ნიშნები.
- 03.05.05. ცეცხლსასროლი ჭრილობის არხის გამოკვლევა. ცეცხლსასროლი ჭრილობების არხის მიმართულების დადგენა.
- 03.05.06. ცეცხლსასროლი ჭრილობების მიყენების თანმიმდევრობის საკითხების გადაწყვეტა.
- 03.05.07. გლუკულიანი იარაღიდან მიყენებული ცეცხლსასროლი ჭრილობების თავისებურებანი.
- 03.05.08. ცეცხლსასროლი ჭრილობების გამოკვლევის ფიზიკო-ტექნიკური მეთოდები.
- 03.05.09. დეფექტური თვითნაკეთი იარაღით და ფეთქებადი მასალით მიყენებული ცეცხლსასროლი დაზიანებების სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა.

04.00.00. გვამების სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა მექანიკური ასფიქსიით სიკვდილის შემთხვევაში.

- 04.01.00. გვამების სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა ჩამოხრჩობისას.
- 04.02.00. გვამების სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა მარყუჟით მოხრჩობისას.
- 04.03.00. გვამების სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა ყელში ხელის ჩატყვით მოხრჩობისას.
- 04.04.00. გვამების სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა სასუნთქი გზებისა და ხერხების დაზიანებისას.
- 04.04.01. გვამების სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა უცხო სხეულებით სასუნთქი გზების დაზიანებისას.
- 04.04.02. გვამების სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა საჭმლით, პირნაღებით მასებით, ფხვიერი ნივთიერებებით და სისხლით სასუნთქი გზების დაზიანებისას.
- 04.04.03. გვამების სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა რბილი საგნებით სასუნთქი ხერხების დაზიანებისას.
- 04.05.00. გვამების სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა გულმკერდზე და/ან მუცელზე ზეწოლისას.
- 04.06.00. გვამების სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა პოზიციური ასფიქსიის (სხეულის განსაკუთრებული მდებარეობით გამოწვეული სუნთქვის უუნარობით სიკვდილის) დროს.
- 04.07.00. გვამების სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა სითხეებში დახრჩობის დროს.
- 04.07.01. გვამების სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა სითხეებში “სველი” ანუ ასპირაციული დახრჩობის დროს.
- 04.07.02. გვამების სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა სითხეებში “მშრალი” დახრჩობის დროს.
- 04.07.03. სითხეებში დახრჩობის დიაგნოსტიკის ლაბორატორიული მეთოდები.
- 04.07.04. წყალში სიკვდილი, რომელიც არ არის კავშირში სითხეებში დახრჩობასთან.
- 04.07.05. გვამის წყალში ყოფნის ხანდაზმულობის განსაზღვრა.

05.00.00. გვამების სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა მოწამვლისას.

- 05.01.00. გვამების სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა მწვავე შხამებით მოწამვლისას.
- 05.02.00. გვამების სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა დესტრუქციული შხამებით მოწამვლისას.
- 05.03.00. გვამების სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა სისხლზე მოქმედი შხამებით მოწამვლისას.
- 05.04.00. გვამების სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა ზოგადფუნქციური შხამებით მოწამვლისას.
- 05.05.00. გვამების სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა ნერვულ სისტემაზე მოქმედი შხამებით მოწამვლისას.
- 05.05.01. გვამების სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა ძილის მომგვრელი პრეპარატებით მოწამვლისას.

- 05.05.02. გვამების სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა ფსიქოტროპული პრეპარატებით მოწამვლისას.
- 05.05.03. გვამების სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა არანარკოტიკული ტკივილგამაყუჩებელი პრეპარატებით მოწამვლისას.
- 05.05.04. გვამების სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა აციკლური ნარკოზული შხამებით მოწამვლისას.
- 05.05.05. გვამების სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა ალკალიდური ნარკოზული შხამებით მოწამვლისას.
- 05.05.06. გვამების სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა ენცეფალოპათიური შხამებით მოწამვლისას.
- 05.05.07. გვამების სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა კრუნჩხვითი შხამებით მოწამვლისას.
- 05.05.08. გვამების სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა ნერვულ-კუნთოვანი შხამებით მოწამვლისას.
- 05.06.00. გვამების სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა შხამქიმიკატებით მოწამვლისას.
- 05.07.00. გვამების სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა კვებითი მოწამვლისას.
- 05.07.01. გვამების სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა ბაქტერიული კვებითი მოწამვლისას.
- 05.07.02. გვამების სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა არაბაქტერიული კვებითი მოწამვლისას.
- 05.08.00. გვამების სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის მეთოდთა მოწამვლაზე ექვის შემთხვევაში.
- 05.09.00. მოწამვლით სიკვდილის შემთხვევაში გვამიდან დამატებითი გამოკვლევისათვის (სასამართლო ქიმიური, ბოტანიკური, ბაქტერიოლოგიური და სხვ.) ბიოლოგიური მასალის აღების მეთოდთა.
- 06.00.00. გვამების სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა ფიზიკური ფაქტორების მოქმედებით სიკვდილის შემთხვევაში.**
- 06.01.00. გვამების სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა მაღალი ტემპერატურის მოქმედებით სიკვდილისას.
- 06.01.01. გვამების სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა მაღალი ტემპერატურის ზოგადი მოქმედებით სიკვდილისას. სითბური და მზის დაკვრა.
- 06.01.02. გვამების სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა დამწვრობით სიკვდილისას.
- 06.02.00. გვამების სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა გადაცივებით სიკვდილისას.
- 06.03.00. გვამების სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა მაღალი ბარომეტრული წნევის მოქმედებით სიკვდილისას.
- 06.04.00. გვამების სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა დაბალი ბარომეტრული წნევის მოქმედებით სიკვდილისას.
- 06.05.00. გვამების სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა ტექნიკური ელექტროდენის მოქმედებით სიკვდილისას.
- 06.05.01. გვამების სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა ტექნიკური ელექტროდენის მოქმედებით სიკვდილის დროს კანზე ელექტრონიშის არსებობისას.
- 06.05.02. გვამების სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა ტექნიკური ელექტროდენის მოქმედებით სიკვდილის დროს კანზე ელექტრონიშის არარსებობისას.
- 06.06.00. გვამების სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა ატმოსფერული ელექტრობის მოქმედებით სიკვდილისას.
- 06.07.00. გვამების სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა სხივური ენერგიის მოქმედებით სიკვდილისას.
- 07.00.00. ახალშობილთა გვამების სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა.**
- 07.01.00. საკითხები, რომლებიც შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ახალშობილთა გვამების სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის დროს.
- 07.01.01. ცოცხლადშობადობის და მკვდრადშობადობის დადგენა. მკვდრადშობადობის მიზეზის დადგენა.
- 07.01.02. ნაყოფის მუცლადყოფნის ხანგრძლივობის დადგენა.
- 07.01.03. ახალშობილის სიცოცხლისუნარიანობის განსაზღვრა.
- 07.01.04. ახალშობილის სიცოცხლის ხანგრძლივობის დადგენა.

07.01.05. ახალშობილის სიკვდილის მიზეზის დადგენა.
07.02.00. ჩვილთმკვლელობის ექსპერტიზა.
07.03.00. ახალშობილთა გვამების სასამართლო სამედიცინო გამოკვლევის თავისებურებანი: გვამის გაკვეთის მეთოდები და ტექნიკა.

08.00.00. ცოცხალ პირთა სხეულის დაზიანების სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა.
08.01.00. სხეულის დაზიანების სიმძიმის ხარისხის სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა.
08.01.01. სხეულის დაზიანების სიმძიმის ხარისხის განსაზღვრა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით.
08.01.02. საკითხები, რომლებიც შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ექსპერტის მიერ სხეულის დაზიანების სიმძიმის ხარისხის სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის დროს.
08.01.03. სხეულის დაზიანების სიმძიმის ხარისხის განსაზღვრის წესები.
08.01.04. სხეულის მძიმე, ნაკლებად მძიმე და მსუბუქი ხარისხის დაზიანების საექსპერტო კრიტერიუმები.
08.01.05. სხეულის დაზიანების თავისებურებანი ცემისა და წამების დროს.

09.00.00. ცოცხალ პირთა სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის სხვა სახეები.
09.01.00. საექვო სქესობრივი მდგომარეობები და სქესობრივი დანაშაული.
09.01.01. საექვო სქესობრივი მდგომარეობებისა და სქესობრივი დანაშაულის სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარების თავისებურებანი.
09.01.02. საექვო სქესობრივი მდგომარეობის ექსპერტიზა.
09.01.03. სქესობრივი სიმწიფის განსაზღვრა.
09.01.04. სქესობრივი შეუღლების უნარის დადგენა მამაკაცებში.
09.01.05. ქალწულობის დადგენა.
09.01.06. სქესობრივი შეუღლების ფაქტის დადგენა.
09.01.07. განაყოფიერების უნარის დადგენა.
09.01.08. ჩანახვის უნარის დადგენა.
09.01.09. ორსულობის დადგენა. გადატანილი მშობიარობისა და აბორტის დადგენა.
09.01.10. კრიმინალური აბორტი და მისი გამომწვევი საშუალებების დადგენა.
09.01.11. გაუპატიურების სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა.
09.01.12. გარყვნილი ქმედების სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა.
09.01.13. მამათმავლობის სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა.
09.01.12. გარყვნილი ქმედების სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა.
09.01.13. სასამართლო ვენეროლოგიური ექსპერტიზა.
09.02.00. საერთო შრომისუნარიანობის მყარი დაკარგვის ხარისხის განსაზღვრა.
09.03.00. ჯანმრთელობის მდგომარეობის სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა.
09.04.00. ასაკის დადგენის სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა.

10.00.00. შემთხვევის ადგილზე გვამის დათვალიერება.
10.01.00. შემთხვევის ადგილზე გვამის დათვალიერების თავისებურებანი არანაძალადევი სიკვდილის შემთხვევაში.
10.02.00. შემთხვევის ადგილზე გვამის დათვალიერების თავისებურებანი მექანიკური დაზიანების დროს.
10.03.00. შემთხვევის ადგილზე გვამის დათვალიერების თავისებურებანი მექანიკური ასფიქსიის დროს.
10.04.00. შემთხვევის ადგილზე გვამის დათვალიერების თავისებურებანი მოწამვლის დროს.
10.05.00. შემთხვევის ადგილზე გვამის დათვალიერების თავისებურებანი ფიზიკური ფაქტორებით დაზიანების დროს.
10.06.00. შემთხვევის ადგილზე ახალშობილის გვამის დათვალიერების თავისებურებანი.

11.00.00. სასამართლო სამედიცინო ექსპერტის მონაწილეობა სასამართლოს სხდომებზე.
11.01.00. სასამართლო სამედიცინო ექსპერტის მონაწილეობა სასამართლოს სხდომებზე სისხლის სამართლის საქმის განხილვისას.
11.02.00. სასამართლო სამედიცინო ექსპერტის მონაწილეობა სასამართლოს სხდომებზე სამოქალაქო საქმის განხილვისას.

12.00.00. საქმის მასალებით სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზისას საექსპერტო კომისიის მუშაობის თავისებურებანი.

12.01.00. დასწრება კომისიის სხდომაზე სისხლის სამართლის რთული საქმის მასალებით სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზისას.

12.02.00. დასწრება კომისიის სხდომაზე საექიმო საქმის მასალებით სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზისას.

13.00.00. სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის სამსახურის ლაბორატორიების საქმიანობის გაცნობა.

13.01.00. სასამართლო ჰისტოლოგიური და ციტოლოგიური ლაბორატორიების საქმიანობის გაცნობა.

13.02.00. სასამართლო ბიოლოგიური ლაბორატორიის საქმიანობის გაცნობა.

13.03.00. სასამართლო ქიმიური ლაბორატორიის საქმიანობის გაცნობა.

13.04.00. სასამართლო ფიზიკო-ტექნიკური ლაბორატორიის საქმიანობის გაცნობა.

13.05.00. სასამართლო დნმ ლაბორატორიის საქმიანობის გაცნობა.

14.00.00. სასამართლო სამედიცინო ექსპერტის მუშაობისათვის საჭირო პრაქტიკული ჩვენებების ნუსხა.

1. სიკვდილის ფაქტის დადგენა
2. სიკვდილის ხანდაზმულობის დადგენა
3. პროკოფის სინჯი
4. კატის თვალის ფენომენი
5. გვამის გამოკვლევის წესები
6. შორის წესით გაკვეთა
7. ვირხოვის წესით გაკვეთა
8. გვამური მასალის აღებისა და დამატებით გამოკვლევისათვის გაგზავნის წესები.
9. დამატებითი გამოკვლევისათვის მასალის აღების მეთოდთა (ჰისტოლოგიური, ბაქტერიოლოგიური და სხვ.).
10. გვამის გაკვეთის თავისებურებანი განსაკუთრებით საშიში ინფექციების დროს.
11. გვამის გაკვეთის თავისებურებანი მოწამვლაზე ეჭვის შემთხვევაში
12. სინჯი პნევმოთორაქსზე
13. სინჯი ჰაეროვან ემბოლიაზე.
14. გალენ-შრეიერის ჰიდროსტატიკური სინჯი
15. ბრესლაუს სინჯი
16. დინიცის სინჯი
17. ვრედენის სინჯი
18. ტარანუხინის სინჯი
19. ბუშე-ხაბერდის სინჯი
20. დილონის სინჯი
21. იკარის სინჯი
22. ბოკარიუსის სინჯი
23. ნეილინგის მეთოდი
24. ამიუსის ნიშანი
25. მარტინის ნიშანი
26. ფრიბერგის ნიშანი
27. ფიტოპლანქტონის სინჯი
28. სვეშნიკოვის სინჯი
29. პუპარევის ნიშანი
30. ტეისმანის სინჯი
31. ჩისტოვიჩ-ულენგუტის რეაქცია
32. ფლუორანსის სინჯი
33. ბარბერიოს სინჯი

სწავლების/შეფასების პრინციპები

დიპლომის შემდგომი სამედიცინო განათლების პროგრამა სასამართლო მედიცინაში ითვალისწინებს თეორიული საბაზისო, პრეკლინიკური და კლინიკური საგნების ათვისებას სასამართლო მედიცინის პრაქტიკული ნაწილის – სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის წესების და მეთოდების პრაქტიკულ დაუფლებასთან ერთად.

თეორიული დისციპლინების სწავლება მოიცავს ლექციების, პრაქტიკული და სემინარული მეცადინეობების ფორმატს, რომელთა შეფასების კომპონენტები და პრინციპები ასახულია ამ თეორიული მოდულების სასწავლო პროგრამებში.

სასამართლო მედიცინის სწავლება მიმდინარეობს კომპლექსური ფორმატით: ლექციები, პრაქტიკული მეცადინეობები, სიტუაციური ამოცანების ანალიზი, თვალსაჩინოებებზე და მულაჟებზე მუშობა, ცოცხალ პირთა შემოწმება, გვამის სასამართლო სამედიცინო გამოკვლევა, შემთხვევის ადგილზე გვამის დათვალიერებისა და დაზიანებების აღწერის შესწავლა და სათანადო დოკუმენტების შედგენის პრინციპების შესწავლა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

რეზიდენტის შეფასების სქემა მოიცავს განსაკუთრებულ ბონუსებს (ჯამურ ქულებს) მორიგეობებსა და პროფესიულ შეხვედრებში (კონფერენცია, კონგრესი, სიმპოზიუმი, ტრენინგი და სხვ.) მონაწილეობისათვის.

პროგრამის მოდულების გავლისას რეზიდენტის მიერ დაგროვილი ქულები ჯამდება და სასწავლო წელი (სწავლების ეტაპი) ჩაითვლება დამოუკიდებლად, თუ რეზიდენტი დააგროვებს მინიმალურ გამსვლელ ქულას. განმეორებითი წლიური გამოცდა შესაძლებელია დაინიშნოს არაუმეტეს ორჯერ. იმ შემთხვევაში, თუ რეზიდენტი ვერ დააგროვებს მინიმალურ გამსვლელ ქულას, იგი რჩება პროგრამის იმავე ეტაპზე (კურსზე) და მის მიერ განვლილი წლის მანძილზე დაგროვილი ქულები უქმდება (ნულდება).

პროგრამის მოდულების დასრულების შემდეგ რეზიდენტის ცოდნისა და უნარ-ჩვევების დამადასტურებელი წერილობითი მასალა (ჩათვლა ტესტებით, რეფერატი და სხვ.) ინახება დიპლომის შემდგომი განათლების პროგრამის ხელმძღვანელთან.

შეფასების მეთოდები

თეორიული ცოდნის შეფასება მოხდება თითოეული მოდულის მოდულზე პასუხისმგებელი პირის მიერ პერიოდული გამოკითხვების ან ტესტირების (კოლოქვიუმის) ფორმით, რაც ასახული იქნება მოდულის სასწავლო გეგმაში და რეზიდენტის დღიურში; შეფასება დამოუკიდებელია მოდულზე პასუხისმგებელი პირის ხელმოწერით. წლის ბოლოს რეზიდენტი აბარებს წლიურ ტესტირებულ გამოცდას, რომელიც მოიცავს წლის განმავლობაში განვლილი მოდულების სასწავლო პროგრამებით გათვალისწინებულ მასალას.

პრაქტიკული უნარ-ჩვევების დაუფლების შეფასება მოხდება შესასრულებელი მანიპულაციების ჩამონათვალის შესაბამისად სასამართლო მედიცინის მოდულის სასწავლო პროგრამაში მითითებული სქემის მიხედვით.

3. პროფესიული მზადების სტრუქტურა

თეორიული მომზადება – ფასდება მოდულების პროგრამებით გათვალისწინებული შეფასების სისტემის მიხედვით; თითოეულ მოდულში დასაგროვებელი მაქსიმალური ქულა მითითებულია საერთო სქემაში (იხ. ქვემოთ).

პროფესიულ შეხვედრებში (კონფერენცია, კონგრესი, სიმპოზიუმი, ტრენინგი და სხვ.) მონაწილეობა – თითოეულ შეხვედრაში მონაწილეობა (სერტიფიკატი) ფასდება 10 ქულით, ხოლო მონაწილეობა მოსხენებასთან ერთად (პროგრამაში მომხსენებლად მითითება) ფასდება 20 ქულით.

პრაქტიკული საქმიანობა – მორიგეობა – თითოეული მორიგეობა ფასდება 5 ქულით. მორიგეობა დამოუკიდებელი უნდა იყოს მოდულზე პასუხისმგებელი პირის მიერ რეზიდენტის დღიურში. I წლის მორიგეობების რაოდენობაა 20, II წლის – 30, III წლის – 70. სულ პროგრამით გათვალისწინებულია სტუდენტის 120 მორიგეობა.

შესასრულებელი მანიპულაციების/ოპერაციების ჩამონათვალი წარმოადგენს სასამართლო მედიცინის სასწავლო პროგრამის ნაწილს და თითოეული მანიპულაცია ფასდება განსხვავებული ქულით.

პროფესიული მზადების I წელიწადი		
მოდული №	შეფასების კომპონენტი	მაქსიმალური ქულა
მოდული 1.1.	ექიმის მოღვაწეობის სამართლებრივი საფუძვლები	50
მოდული 1.2.	ბიოქიმია და მოლეკულური ბიოლოგია	100
მოდული 1.3.	ტოპ. ანატომია და ოპერაციული ქირურგია	100
მოდული 1.4.	პათოლოგია	200
მოდული 1.5.	სასამართლო მედიცინა	200
	მორიგეობის ბონუსი	100
	პროფესიული შეხვედრების ბონუსი	50
	წლიური გამოცდა	200
	წლიური შეფასება	1 000

I წლის სტუდენტისათვის წლიურ გამოცდაზე დაშვების აუცილებელი პირობაა ყველა მოდულის დამუშავება და ჯამური 700 ქულის დაგროვება. წლიური გამოცდა ჩაბარებულად ითვლება, თუ სტუდენტი დააგროვებს 150 ქულას. შესაბამისად, I წლის პროგრამისათვის **მინიმალურ გამსვლელ ქულად ითვლება 850 ქულა**, რაც წარმოადგენს პროგრამის II ეტაპზე (II წელი) გადასვლის აუცილებელ პირობას.

პროფესიული მზადების II წელიწადი		
მოდული №	შეფასების კომპონენტი	მაქსიმალური ქულა
მოდული 2.1.	ტრავმატოლოგია	100
მოდული 2.2.	მენობა-გინეკოლოგია	100
მოდული 2.3.	ნევროლოგია	100
მოდული 2.4.	სასამართლო ფსიქიატრია	100
მოდული 2.5.	სასამართლო სამედიცინო ტოქსიკოლოგია	100
მოდული 2.6.	სასამართლო მედიცინა (როტაციებით)	200
	მორიგეობის ბონუსი	150
	პროფესიული შეხვედრების ბონუსი	50
	წლიური გამოცდა	100
	წლიური შეფასება	1 000

II წლის სტუდენტისათვის წლიურ გამოცდაზე დაშვების აუცილებელი პირობაა ყველა მოდულის დამუშავება და ჯამური 800 ქულის დაგროვება. წლიური გამოცდა ჩაბარებულად ითვლება, თუ სტუდენტი დააგროვებს 75 ქულას. შესაბამისად, II წლის პროგრამისათვის **მინიმალურ გამსვლელ ქულად ითვლება 875 ქულა**, რაც წარმოადგენს პროგრამის III ეტაპზე (III წელი) გადასვლის აუცილებელ პირობას.

პროფესიული მზადების III წელიწადი		
მოდული №	შეფასების კომპონენტი	მაქსიმალური ქულა
მოდული 3.1.	სასამართლო მედიცინა (როტაციებით)	500
	მორიგეობის ბონუსი	350
	პროფესიული შეხვედრების ბონუსი	50
	წლიური გამოცდა	100
	წლიური შეფასება	1 000

III წლის სტუდენტისათვის წლიურ გამოცდაზე დაშვების აუცილებელი პირობაა სასამართლო მედიცინის მოდულის დამუშავება და ჯამური 800 ქულის დაგროვება. წლიური გამოცდა ჩაბარებულად ითვლება, თუ სტუდენტი დააგროვებს 75 ქულას. შესაბამისად, III წლის პროგრამისათვის **მინიმალურ გამსვლელ ქულად ითვლება 875 ქულა**, რაც წარმოადგენს პროგრამის დასრულების აუცილებელ პირობას.

4. სარეზიდენტო პროგრამის შეღებვნილობა. პროგრამის მოღულებად დაყოფა და მოღულების ბანხორციელების ორბანიზაცია.

მზადების პირველი წლის მოღულების რაოდენობა:

მოდ. №	მოდულის დასახელება	ხანგრძლივობა
1.1.	ექიმის მოღვაწეობის სამართლებრივი საფუძვლები	2 კვირა
1.2.	ბიოქიმია და მოლეკულური ბიოლოგია	4 კვირა
1.3.	ტოპოგრაფიული ანატომია და ოპერაციული ქირურგია	6 კვირა
1.4.	პათოლოგია	24 კვირა
1.5.	სასამართლო მედიცინა	12 კვირა

პროფესიული მზადების I წლის მიზანია:

რეზიდენტის მიზნობრივი თეორიული მომზადება იმ საბაზისო და პრეკლინიკურ დისციპლინებში, რომლებიც საფუძვლად უდევს თანამედროვე სასამართლო მედიცინას, უზრუნველყოფს პროგრამის შემდგომი მოღულების სწორად და ეფექტურად ათვისებას, მაღალკვალიფიციური, მედიცინისა და მეცნიერების თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი გამოკვლევის ჩატარებას და დიაგნოზის დასმას.

მზადების მეორე წლის მოღულების რაოდენობა:

მოდ. №	მოდულის დასახელება	ხანგრძლივობა
2.1.	ტრანსპოლოგია	2 კვირა
2.2.	მეანობა-გინეკოლოგია	2 კვირა
2.3.	ნევროლოგია	2 კვირა
2.4.	სასამართლო ფსიქიატრია	2 კვირა
2.5.	სასამართლო სამედიცინო ტოქსიკოლოგია	2 კვირა
2.6.	სასამართლო მედიცინა (როტაციებით)	38 კვირა

პროფესიული მზადების II წლის მიზანია:

რეზიდენტის მომზადება იმ კლინიკურ დისციპლინებში, რომლებიც უშუალო თემატურ კავშირშია სასამართლო მედიცინის ცალკეულ ნაწილებთან და უზრუნველყოფს ამავე წლის მოღულით გათვალისწინებული სასამართლო მედიცინისა და სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის საფუძვლების სწორად აღქმას და მიღებული ცოდნის ეფექტურ გამოყენებას დიაგნოზის დასმისა და ექსპერტიზის ჩატარების დროს.

მზადების მესამე წლის მოღულების რაოდენობა:

მოდული №	მოდულის დასახელება	ხანგრძლივობა
3.1.	სასამართლო მედიცინა (როტაციებით)	11 თვე

პროფესიული მზადების III წლის მიზანია:

რეზიდენტის პროფესიული მზადება სასამართლო მედიცინაში, სასამართლო სამედიცინო თანატოლოგიის, ცოცხალ პირთა ექსპერტიზის, ნივთმტკიცებებისა და საგამომიებო საქმის მასალების ექსპერტიზის საფუძვლებისა და მეთოდების ათვისება, სასამართლო სამედიცინო

ექსპერტიზის ჩატარებისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევების ათვისება; უშუალო მონაწილეობა პირველად, დამატებით, განმეორებით, კომისიურ და კომპლექსურ ექსპერტიზებში.

5. აბაღმიური პერსონალი, კვალიფიკაცია და საბანანათლებლო რესურსები

სასამართლო მედიცინის პროგრამის ხელმძღვანელს უნდა ჰქონდეს სასამართლო მედიცინაში პრაქტიკული, პედაგოგიური, მეთოდური და სამეცნიერო მუშაობის არანაკლებ 5 წლის გამოცდილება.

სასამართლო მედიცინაში რეზიდენტურის პროგრამის მოდულზე პასუხისმგებელ პირს უნდა ჰქონდეს სახელმწიფო სერტიფიკატი შესაბამის სპეციალობაში და პრაქტიკული და პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება.

6. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები. მართვა და ადმინისტრირება.

სასამართლო მედიცინაში რეზიდენტის მომზადების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებია:

- პროგრამის მოდულების დამუშავების რეგულარული კონტროლი, თითოეული მოდულის პროგრამაში მითითებული შეფასების სისტემის შესაბამისად;
- რეზიდენტის მიერ დამუშავებული რეფერატული და სხვა დოკუმენტური მასალის რეგულარული კონტროლი, მეთოდური ანალიზი, განხილვა და დაარქივება;
- რეზიდენტის დღიურის რეგულარული შევსება და კონტროლი;
- რეზიდენტისთვის სავალდებულო მანიპულაციების/ოპერაციების შესრულებაზე რეგულარული კონტროლი და მათი შეფასება პროგრამაში არსებული ჩამონათვალის მიხედვით.

რეზიდენტურის პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი არიან - რეზიდენტურის პროგრამის ხელმძღვანელი მოდულზე პასუხისმგებელი პირები, თვით რეზიდენტები. პროგრამის მართვა და ადმინისტრირება ხორციელდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის, კანონებისა და კანონქვემდებარე ნორმატიული დოკუმენტების შესაბამისად.

7. პროგრამის ხანგრძლივობა

დიპლომის შემდგომი მომზადების საერთაშორისო პრინციპებიდან გამომდინარე (როგორც ევროპული, ისე ამერიკული გამოცდილებით), პროფესიული მზადების პროგრამა სასამართლო მედიცინაში მოიცავს სამ (მინიმუმ) აკადემიურ წელს და უზრუნველყოფს სპეციალისტის როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ მომზადებას.

სპეციალისტის თეორიულ მომზადებას ეთმობა პროგრამის პირველი და ნაწილობრივ მეორე წელი. თეორიული მომზადება მოიცავს იმ საბაზისო და კლინიკური დისციპლინების მოდულებს, რომელთა საფუძვლიანი და მიზანმიმართული ცოდნა აუცილებელია თანამედროვე სასამართლო ექიმისათვის.

სპეციალისტის პრაქტიკულ მომზადებას ეთმობა პროგრამის მეორე წლის ძირითადი ნაწილი და მესამე წელი მთლიანად. გარდა ამისა, პროგრამის პირველი და ნაწილობრივ მეორე წლის თეორიულ მოდულებთან ერთად რეზიდენტი პარალელურ რეჟიმში ეცნობა სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის ცენტრში მუშაობის პრინციპებს და ცენტრის ყოველდღიურ ცხოვრებას. პრაქტიკული მომზადება მოიცავს განსაზღვრული უნარ-ჩვევების ათვისებას მათი სირთულის დონეების შესაბამისად, რაც აისახება რეზიდენტის დღიურში და დამოწმდება მოდულზე პასუხისმგებელი პირის მიერ.

სასამართლო მედიცინის პროგრამის (33 03მ, 144 კ30რა) მოდულების ხანგრძლივობა მოცემულია ცხრილების სახით:

პროფესიული მზადების I წელიწადი		
მოდული №	მოდულის დასახელება	ხანგრძლივობა
მოდული 1.1.	ექიმის მოღვაწეობის სამართლებრივი საფუძვლები	2 კვირა – 12 დღე, 72 საათი

მოდული 1.2.	ბიოქიმია და მოლეკულური ბიოლოგია	4 კვირა - 24 დღე, 144 საათი
მოდული 1.3.	ტოპოგრაფიული ანატომია და ოპერაციული ქირურგია	6 კვირა - 36 დღე, 216 საათი
მოდული 1.4.	პათოლოგია	24 კვირა - 144 დღე, 864 საათი
მოდული 1.5.	სასამართლო მედიცინა	12 კვირა - 72 დღე, 432 საათი
		სულ 48 კვირა

პროფესიული მზადების II წელიწადი		
მოდული №	მოდულის დასახელება	სანგრძლივობა
მოდული 2.1.	ტრავმატოლოგია	2 კვირა - 12 დღე, 72 საათი
მოდული 2.2.	მენოპა-გინეკოლოგია	2 კვირა - 12 დღე, 72 საათი
მოდული 2.3.	ნევროლოგია	2 კვირა - 12 დღე, 72 საათი
მოდული 2.4.	სასამართლო ფსიქიატრია	2 კვირა - 12 დღე, 72 საათი
მოდული 2.5.	სასამართლო სამედიცინო ტოქსიკოლოგია	2 კვირა - 12 დღე, 72 საათი
მოდული 2.6.	სასამართლო მედიცინა (როტაციებით)	38 კვირა - 228 დღე, 1368 საათი
		სულ 48 კვირა

პროფესიული მზადების III წელიწადი		
მოდული №	მოდულის დასახელება	სანგრძლივობა
მოდული 3.1.	სასამართლო მედიცინა (როტაციებით)	48 კვირა - 288 დღე, 1728 საათი

8. პროგრამის განახლების პერიოდულობა

სარეზიდენტო პროგრამა სასამართლო მედიცინაში უნდა დაეკვემდებაროს მკაცრ და შემოქმედებით გადახედვას ქვეყნის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი ცვლილებებისა და სასამართლო მედიცინის საერთაშორისო სტანდარტებისა და მოთხოვნების ცვლილებების შესაბამისად. პროგრამის განახლება სასურველია მოხდეს 5 წელიწადში ერთხელ.

II. პროფესიული მზადების I ფლის მოდულები

მოდული 1.1. ექიმის მოღვაწეობის სამართლებრივი საფუძვლები

1. მოდულის სანგრძლივობა - 2 კვირა - 12 დღე, 72 საათი
2. მოდულის მიზანია - საექიმო საქმიანობასთან დაკავშირებული, საერთაშორისო და საქართველოს მოქმედი კანონებისა და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების გაცნობა და მათი გამოყენების უნარის გამომწვევა.
3. მოდულის ამოცანებია რეზიდენტმა შეისწავლოს:
 1. ჯანმრთელობის დაცვისა და პროფესიული საქმიანობის თანამედროვე პრინციპები საერთაშორისო ნორმებისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;
 2. საექიმო საქმიანობასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ნორმები არსებული კანონმდებლობის შესაბამისად;
 3. დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტსა და სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების, ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შორის ურთიერთობის სამართლებრივი საკითხები;
 4. ადამიანზე ჩატარებული სამედიცინო-ბიოლოგიური კვლევების სამართლებრივი საკითხები, საერთაშორისო ნორმებისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;
 5. პაციენტის უფლებების დაცვის სამართლებრივი საკითხები საერთაშორისო ნორმებისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

შენიშვნა: ზემოდასახული მიზნისა და ამოცანების შესასრულებლად მიზანშეწონილია მოდული 1.1 – ექიმის მოღვაწეობის სამართლებრივი საფუძვლები რეზიდენტმა შეისწავლოს თსსუ სასამართლო მედიცინის დეპარტამენტში, რადგან აღნიშნულ დეპარტამენტს აქვს ამ დისციპლინის სწავლების ხანგრძლივი გამოცდილება.

4. შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა:

№	თეორიული კურსი	დავალება
1.	საქართველოს კანონი ჯანმრთელობის დაცვის შესახებ. მოქალაქეთა უფლებები ჯანმრთელობის დაცვის სფეროში. ჯანმრთელობის დაცვის სისტემის მართვა, ორგანიზაცია და დაფინანსება. სახელმწიფო სერტიფიკატისა და სახელმწიფო ლიცენზიის მინიჭება. სამედიცინო დაწესებულება. წამალი და ფარმაცევტული საქმიანობა. სამედიცინო ტექნოლოგიები. ფსიქიატრიული დახმარება. სახელმწიფო სანიტარული ზედამხედველობა და ჰიგიენური ნორმირება. დაავადებათა კონტროლი. სოციალურად საშიში დაავადებები და დაავადებები, რომლებიც საჭიროებენ მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას.	
2.	მოსახლეობის ჯანმრთელობისათვის ხელშეწყობა. მოქალაქეთა ჯანმრთელობის დაცვა საგანგებო მდგომარეობების დროს. პროფესიული დაავადებები. სამედიცინო განათლება. სამედიცინო პერსონალისა და სამედიცინო დაწესებულების პროფესიული პასუხისმგებლობა. სამედიცინო-ბიოლოგიური კვლევა. ადამიანის ორგანოების, ორგანოთა ნაწილების, ქსოვილების აღება და გამოყენება. სისხლისა და სისხლის კომპონენტების დონორობა. უსაფრთხო დედობა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვა. ოჯახის დაგეგმვა. კრიტიკული მდგომარეობა, სიკვდილი და ევთანაზია. კანონი სამედიცინო დაზღვევის შესახებ.	რეფერატი
3.	საქართველოს კანონი საექიმო საქმიანობის შესახებ. დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლება. სახელმწიფო სერტიფიკატი და მისი მოქმედების ვადა. ექიმის მოვალეობა პაციენტის მიმართ. ექიმის მოვალეობა პატიმრის, დაკავებულის ან დატყვევებულისათვის სამედიცინო მომსახურების გაწევისას.	
4.	საქართველოს კანონი საექიმო საქმიანობის შესახებ. ექიმის მიერ სამედიცინო ჩანაწერების წარმოების მოვალეობა. ექიმის მოვალეობა კოლეგის მიმართ. სახელმწიფო ზედამხედველობა საექიმო საქმიანობაზე. დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტის პროფესიული პასუხისმგებლობა. ტელემედიცინა. დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტის სოციალური უფლებები.	რეფერატი
5.	საქართველოს კანონი პაციენტის უფლებების შესახებ. მკურნალობისა და მოვლის უფლება. ინფორმაციის მიღების უფლება. თანხმობა. ინფორმირებული და ნაგულისხმევი თანხმობა. პირადი ცხოვრების კონფიდენციალობა და ხელშეუხებლობა. უფლებები გენეტიკური კონსულტაციისა და გენური თერაპიის სფეროში. ორსულისა და მეძუძური დედის უფლებები.	
6.	საქართველოს კანონი პაციენტის უფლებების შესახებ. არასრულწლოვანის უფლებები. სამხედრო მოსამსახურის, წვევამდელისა და სამხედრო სამსახურში კონტრაქტით დაქირავებულის უფლებები. წინასწარ პატიმრობაში ან სასჯელადსრულების დაწესებულებაში მყოფი პირის უფლებები. ჯანმრთელობის დაცვა და საექიმო საქმიანობა საქართველოს კონსტიტუციაში.	რეფერატი; ჩათვლა ტესტებით

5. მოდულის შეფასების მეთოდები

№	შეფასების კომპონენტი	ქულა	რაოდენობა	მაქს. ქულა
1.	რეფერატი	10	3	30
2.	ჩათვლა ტესტებით	20	1	20

	საბოლოო შეფასება	-	-	50
--	------------------	---	---	----

ექიმის მოღვაწეობის სამართლებრივი საფუძვლების მოდული ჩაბარებულად ითვლება, თუ სტუდენტი დააგროვებს **40 ქულას**.

6. აუცილებელი და რეკომენდებული ლიტერატურის ნუსხა:

1. საქართველოს კანონი “ჯანმრთელობის დაცვის შესახებ”
2. საქართველოს კანონი “საექიმო საქმიანობის შესახებ”
3. საქართველოს კანონი “პაციენტის უფლებების შესახებ”

მოდული 12. ბიოქიმია და მოლეკულური ბიოლოგია

1. მოდულის ხანგრძლივობა – 4 კვირა – 24 დღე, 144 საათი

2. მოდულის მიზანია – რეზიდენტმა შეიძინოს საბაზისო ცოდნა ძირითადი პათოლოგიური პროცესების ბიოქიმიური და მოლეკულური საფუძვლების შესახებ, რაც სამომავლოდ მას დაეხმარება პათოლოგიების დიფერენციულ დიაგნოსტიკასა და სწორი სასამართლო სამედიცინო დიაგნოზის შედგენაში.

3. მოდულის ამოცანებია რეზიდენტი გაეცნოს:

1. ორგანიზმის მეტაბოლიზმის ძირითად მახასიათებლებს, მუავა-ტუტოვანი ბალანსის შემადგენელ ელემენტებს და მათ კლინიკურ კორელაციებს;
2. ამინომჟავებისა და ცილების სრუქტურულ და ფუნქციურ მახასიათებლებს, ფერმენტების როლს ორგანიზმის რეგულაციურ მექანიზმებში და მათ კლინიკურ კორელაციებს;
3. უჯრედულ სასიგნალო სისტემასა და ქიმიურ მესენჯერულ სისტემებს, სიგნალის გადაცემას, ტერმინაციას და მათ კლინიკურ კორელაციებს;
4. მოლეკულური გენეტიკის საფუძვლებს, გენის ექსპრესიის რეგულაციის მექანიზმებს, მოლეკულური გენეტიკის კვლევის მეთოდებს და მათ დიაგნოსტიკურ შესაძლებლობებს.

4. შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა:

კვირა	თეორიული კურსი	დავალება
1.	ორგანიზმის მეტაბოლიზმის მიმოხილვა. ორგანიზმის ენერგეტიკული საწვავის მეტაბოლიზმის მიმოხილვა. დიეტური საწვავი. სხეულის ენერგეტიკული სამარაგო ნივთიერებები. დღიური ენერგეტიკული დანახარჯი. ქსენობიოტიკები. მონელება და აბსორბცია. საკვების მიღების შემდგომი ჰორმონალური ცვლილებები. გლუკოზის მეტაბოლიზმი საკვების მიღების შემდეგ. ლიპიდების საკვების მიღების შემდგომი მეტაბოლიზმი. ამინომჟავების საკვების მიღების შემდგომი მეტაბოლიზმი. შიმშილი. შიმშილის ფაზა. მეტაბოლური ცვლილებები ხანგრძლივი შიმშილობისას. წყალი, მჟავები, ფუძეები და ბუფერები. მეტაბოლური მჟავები და ბუფერები. ფილტვი და თირკმელი: ორგანიზმის მუავა-ტუტოვანი ბალანსი.	რეფერატი
2.	ამინომჟავები და ცილები. ამინომჟავების ზოგადი სტრუქტურა. ამინომჟავების კლასიფიკაცია. ვარიაციები ცილების პირველად სტრუქტურაში. მოდიფიცირებული ამინომჟავები. კავშირი ცილების სტრუქტურასა და ფუნქციას შორის. სამგანზომილებიანი სტრუქტურის ზოგადი დახასიათება. პეპტიდური ჩონჩხის სამგანზომილებიანი სტრუქტურა. მეორადი სტრუქტურა. მესამეული სტრუქტურა. მეოთხეული სტრუქტურა. ლიგანდებთან კავშირის რაოდენობრივი აღწერა. სტრუქტურულ-ფუნქციური კავშირები მიოგლობინსა და ჰემოგლობინში. სტრუქტურულ-ფუნქციური კავშირები იმუნოგლობულინებში. ცილების კონფორმაცია. ფერმენტები, ფერმენტების რეგულაცია. ფერმენტული კატალიზის საფუძვლები. ქიმოტრიპსინის მოქმედების კატალიზური მექანიზმი. კატალიზში მონაწილე ფუნქციური ჯგუფები. ოპტიმალური pH და ტემპერატურა. მექანიზმზე დაფუძნებული ინჰიბიტორები. ფერმენტების აქტივობის რეგულაცია. რეგულაცია სუბსტრატის და პროდუქტის კონცენტრაციით. რეგულაცია კონფორმაციული ცვლილებებით. რეგულაცია ფერმენტის რაოდენობის ცვლილებით.	რეფერატი

3.	მეტაბოლური გზების ორგანიზაცია და რეგულაციის პრინციპები. უჯრედული სასიგნალო სისტემა ქიმიური მესენჯერების მეშვეობით. ქიმიური მესენჯერული სისტემების ზოგადი თვისებები. ტრანსკრიპციული ფაქტორების ინტრაუჯრედული რეცეპტორები. პლაზმური მემბრანის რეცეპტორები და სიგნალის გადაცემა. სიგნალის ტერმინაცია. პლაზმური მემბრანის რეცეპტორები და სიგნალის გადაცემა. ინსულინის რეცეპტორი და ინსულინის მოქმედება. გლუკაგონის რეცეპტორი და გლუკაგონის მოქმედება. სიგნალის ტერმინაცია.	რეფერატი
4.	დნმ-ის და რნმ-ის სინთეზი და სინთეზში მონაწილე ფერმენტები. რეპარაცია. რეპარაციაში მონაწილე ფერმენტები. მოლეკულური ბიოლოგიის მეთოდები. PCR-ის პრინციპი. PCR-ის სახეობები. გენური ჩიპები. გენომიკი და პროტეომიკი. გენის ექსპრესიის რეგულაციის მექანიზმები. გენეტიკური კოდი. გენის აქტივობის მარეგულირებელი ელემენტები. გენის რეგულატორულ უბნებთან დამაკავშირებელი ცილები. ცილებისა და ნუკლეინმჟავების დახასიათება ელექტროფორეზის მეთოდით. ელექტროფორეზი აგაროზას გელზე. ნუკლეინის მჟავების სეკვენსირება გელში. ელექტროფორეზი პოლიაკრილამიდის გელში (PAGE). კაპილარული ელექტროფორეზი (CE).	რეფერატი; ჩათვლა ტესტებით

5. მოდულის შეფასების მეთოდები

№	შეფასების კომპონენტი	ქულა	რაოდენობა	მაქს. ქულა
1.	რეფერატი	15	4	60
2.	ჩათვლა ტესტებით	40	1	40
	საბოლოო შეფასება	-	-	100

ბიოქიმიის და მოლეკულური ბიოლოგიის მოდული ჩაბარებულად ითვლება, თუ სტუდენტი დააგროვებს **80 ქულას**.

6. აუცილებელი და რეკომენდებული ლიტერატურის ნუსხა:

- მ. კოკიაშვილი: სამედიცინო ბიოქიმია. 1996
- Devlin T.M.: Textbook of Biochemistry with Clinical Correlations. 2002
- Champe P.C., Harvey R.A., Ferrier D.R.: Biochemistry. Lippincott's Illustrated Reviews. 3rd ed, 2005

მოდული 13. ტოპოგრაფიული ანატომია და ოპერაციული ქირურგია

1. მოდულის ხანგრძლივობა – 6 კვირა – 36 დღე, 216 საათი
2. მოდულის მიზანია – რეზიდენტმა შეიძინოს თეორიული და პრაქტიკული ცოდნა ადამიანის ორგანიზმის ნორმალური აგებულების, სხეულის ნაწილებისა და შინაგანი ორგანოების ტოპოგრაფიული განლაგებისა და ძირითადი ქირურგიული მიდგომების შესახებ.
3. მოდულის ამოცანებია რეზიდენტი დაეუფლოს:
 1. კისრის, გულმკერდის, მუცლისა და მენჯის მიდამოების ტოპოგრაფიას, მათ ტოპოგრაფიულ დაყოფას ოპერაციული მიდგომის თვალსაზრისით;
 2. შინაგანი ორგანოების ტოპოგრაფიას, მათ სკელეტოტოპიასა და სინტოპიას; შინაგან ორგანოებთან ანატომიურ მიდგომას გვამურ მასალაზე;
 3. ოპერაციული ქირურგიის საფუძვლებს, შინაგან ორგანოებთან ქირურგიულ მიდგომას;
 4. კლინიკური სიმპტომებისა და სინდრომების ტოპოგრაფიულ ანატომიას;
 5. გვამურ მასალაზე და გვამზე მუშაობის ანატომიურ ტექნიკას.
4. შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა:

კვირა	თეორიული კურსი	დავალება
1.	კისრის ტოპოგრაფია: გარეგანი ორიენტირები, პროექციები. კისრის კუნთები, ფასციები და შემაერთებელქსოვილოვანი სივრცეები. კისრის დაყოფა მიდამოებად	გვამზე მუშაობა

	და სამკუთხედებად. ინისზედა მიდამო: ქვედაებისქვეშა სამკუთხედი, პიროგოვის სამკუთხედი. ქვედაებისქვეშა ჯირკვალი და მისი სადინარი. ინისქვედა მიდამო: მკერდ-ლავიწ-დვრილისებრი მიდამო, საძილე და ბეჭ-სასულის სამკუთხედები. განაკვეთები კისრის ორგანოებთან ოპერაციული მიდგომისათვის. კისრის ჭრილობების პირველადი ქირურგიული დამუშავება. განაკვეთები კისრის აბსცესებისა და ფლემონების დროს. ოპერაციული მიდგომა საერთო საძილე და გარეთა საძილე არტერიებთან.	
2.	კისრის ლატერალური სამკუთხედების ტოპოგრაფია. ფარისებრი და პარათიროიდული ჯირკვლების ტოპოგრაფია. ოპერაციული მოდგომა ლავიწქვეშა არტერიასთან. ვაგო-სიმპათიკური ბლოკადა ვიშნევსკის წესით, კონიკოტომია. კლინიკური სიმპტომებისა და სინდრომების ტოპოგრაფიული ანატომია (სკალენუს სინდრომი, მიუსეს სიმპტომი, კლოდ-ბერნარ-ჰორნერის სინდრომი, ხმის ჩახლეჩის სიმპტომი, ერბენის სიმპტომი, კისრის სტენოკარდია, კეფის დიდი და მცირე ნერვების სინდრომი, რუსტის სიმპტომი, ბერის სიმპტომი, კაროტიდული სინუსის სინდრომი, ხერხემლის არტერიის სინდრომი).	გვამზე მუშაობა
3.	გულმკერდის შრეობრივი ტოპოგრაფია. სარძევე ჯირკვალი. ნეკნთაშუა სივრცეები, მისი სისხლძარღვებისა და ნერვების ტოპოგრაფია. განაკვეთები ჩირქოვანი მასტიტის დროს. რადიკალური მასტექტომია. ნეკნის რეზექცია. პლევრის ღრუს ტოპოგრაფია, პლევრის ჯიბეები. ფილტვის ტოპოგრაფია. პლევრის ღრუს პუნქცია. გულმკერდის კედლის ჭრილობის პირველადი ქირურგიული დამუშავება ღია პნევმოთორაქსის დროს. ნეკნთაშუა ნერვების ბლოკადა. ფილტვის გაკვეთა. ოპერაციული მიდგომა ფილტვებთან. ფილტვის ჭრილობის გაკერვა. ფილტვის ამოკვეთა. ფილტვის წილის ამოკვეთა.	გვამზე მუშაობა; რეფერატი
4.	შუასაყარი. მისი დაყოფა. გულის პერანგის ტოპოგრაფია. გულის ტოპოგრაფია. განაკვეთი წინა შუასაყარის მედიასტინიტის დროს. ოპერაციული მიდგომა გულთან. გულის პერანგის ჩხვლეტა. გულის ჭრილობის გაკერვა. ღია არტერიული (ბოტალოს) სადინრის გადასკვნა. აორტა-კორონარული შუნტირება. სასულის გულმკერდის ნაწილის ტოპოგრაფია. უკანა შუასაყარი. ოპერაციული მიდგომა საყლაპავ მილთან. კლინიკური სიმპტომებისა და სინდრომების ტოპოგრაფიული ანატომია (ბეზადონის, ზორგიუსის, ნეკნთაშუა გამობერვის, ჰუვერის, სტოქსის, კუსმაულის, ტაკაიასის, ჩახლეჩილი ხმის სიმპტომი; ცთომილი ნერვის ზეწოლის სინდრომი, ტროიანოვის სიმპტომი).	გვამზე მუშაობა
5.	მუცლის ღრუს ტოპოგრაფია. პერიტონეუმის მსვლელობა. პერიტონული აბეები და ჯიბეები. მუცლის ღრუს ჯირკვლოვანი სართული. კუჭის ტოპოგრაფია. ღვიძლისა და ნაღვლის ბუშტის ტოპოგრაფია. ღვიძლის სისხლძარღვები და ნერვები. თორმეტგოჯა ნაწლავისა და პანკრეასის ტოპოგრაფია. ღვიძლ-თორმეტგოჯა იოგისა და ბადექონის (ვინსლოვის) ხერხელის ტოპოგრაფია. ელენთის ტოპოგრაფია. მუცლის ღრუს ქვედა სართულის ტოპოგრაფია. წვრილი ნაწლავისა და მისი ჯორჯლის ტოპოგრაფია. მსხვილი ნაწლავის ტოპოგრაფია. ჯორჯლის ზედა და ქვედა არტერიები. მუცლის ღრუს ჩხვლეტა. ლაპარატომია, მუცლის ღრუს ორგანოების რევიზია. ნაკერები კუჭ-ნაწლავზე. ოპერაციები კუჭზე. კუჭის გაკვეთა, კუჭზე ფისტულის დადება. კუჭ-ნაწლავის შერთული. კუჭის რეზექცია: ბიდროთის I, ბიდროთის II და პოფმაისტერ-ფინსტერის მიხედვით. ვაგოტომია. პილოროპლასტიკა. წვრილი და მსხვილი ნაწლავის ჭრილობის გაკერვა. წვრილი ნაწლავის რეზექცია: პირით-პირში, გვერდით-გვერდში და პირით-გვერდში შერთულის დადებით. მსხვილი ნაწლავის ნაკერი. მსხვილი ნაწლავის რეზექცია. მსხვილი ნაწლავის ფისტულა. ხელოვნური უკანა ტანი. ღვიძლიდან სისხლის დენის შეჩერების წესები. ღვიძლის რეზექცია. ქოლცისექტომია. სპლენექტომია. აპენდექტომია. განაკვეთები ჭია ნაწლავის ამოკვეთის დროს.	გვამზე მუშაობა; რეფერატი
6.	რეტროპერიტონეული სივრცის ტოპოგრაფია. თირკმელები, თირკმელზედა ჯირკვლები, მუცლის აორტისა და ქვედა ღრუ ვენის	გვამზე მუშაობა;

<p>ტოპოგრაფია. ოპერაციული მიდგომის წესები თირკმელზე და შარდსაწვეთზე. თირკმლის ამოკვეთა. პარანეფრალური ბლოკადა. მენჯის ტოპოგრაფია: მენჯის ღრუს საზღვრები, კედლები, მენჯის დაყოფა სართულებად. მამაკაცის მენჯის ორგანოების ტოპოგრაფია. პერიტონეუმის მსვლელობა მამაკაცის მენჯში. მამაკაცის შარდის ბუშტისა და სწორი ნაწლავის ტოპოგრაფია. მენჯის შემაერთებელქსოვილოვანი სივრცეები. თქოს შიგნითა არტერიებთან მიდგომა და გადაკვანდა. პერიტონეუმის მსვლელობა ქალის მენჯში. საშოს უკანა თაღის პუნქცია. ბუასილის ქირურგიული მკურნალობა. შარდის ბუშტის კაპილარული პუნქცია და გაკვეთა. ეპიცისტოსტომია. ოპერაციები ჩირქოვანი პარაპროქტიტების დროს.</p>	<p>ჩათვლა ტესტებით</p>
--	------------------------

5. მოდულის შეფასების მეთოდები

№	შეფასების კომპონენტი	ქულა	რაოდენობა	მაქს. ქულა
1.	გვამზე მუშაობა	5	12	60
2.	რეფერატი	10	2	20
3.	ჩათვლა ტესტებით	20	1	20
საბოლოო შეფასება		-	-	100

ტოპოგრაფიული ანატომიისა და ოპერაციული ქირურგიის მოდული ჩაბარებულად ითვლება, თუ სტუდენტი დააგროვებს **80 ქულას**.

6. აუცილებელი და რეკომენდებული ლიტერატურის ნუსხა:

- შ. თოიძე, ლ. კიკალიშვილი, ე. ყიფიანი, დ. კორძაია: ტოპოგრაფიული და კლინიკური ანატომია. 2005.
- ე. ყიფიანი, დ. კორძაია, ლ. კიკალიშვილი: ტოპოგრაფიული ანატომია და ოპერაციული ქირურგია. ატლასი. 1995
- შ. თოიძე: ტოპოგრაფიული ანატომია. 1990
- შ. თოიძე: ოპერაციული ქირურგია. 1983
- Snell R.S.: Clinical Anatomy for Medical Students. 5th ed., 1998

მოდული 14. პათოლოგია

1. მოდულის ხანგრძლივობა – 24 კვირა – 144 დღე, 864 საათი
2. მოდულის მიზანია – რეზიდენტი დაეუფლოს ადამიანის ორგანიზმის პათოლოგიურ პროცესთა და ავადმყოფობათა პათომორფოლოგიურ და პათოფიზიოლოგიურ საფუძვლებს.
3. მოდულის ამოცანებია:
 1. ცოდნის მიცემა პათოლოგიათა მოლეკულური საფუძვლებისა და მორფოლოგიური გამოხატულებების შესახებ:
 - უჯრედისა და უჯრედშორისი სტრუქტურების დაზიანების;
 - უჯრედშიდა და უჯრედგარეთა აკუმულაციების;
 - დიცირკულაციური პროცესების;
 - ანთების;
 - იმუნოპათოლოგიური პროცესების;
 - ადაპტაციური და კომპენსაციური პროცესების;
 - სიმსივნური პროცესის;
 - გენეტიკური ავადმყოფობების;
 - ზოგადი და ადგილობრივი სიკვდილის.

2. ცოდნის მიცემა ავადმყოფობათა ეტიო-პათოგენეზის თანამედროვე შეხედულებების, მორფოლოგიური გამოსატყულებების, გართულებებისა და გამოსავლის შესახებ;
3. ოპერაციული, ბიოფსიური და სექციური მასალის პათოლოგოანატომიური გამოკვლევის პრინციპების გაცნობა;
4. კლინიკურ-მორფოლოგიური აზროვნების ჩვევის ჩამოყალიბება.

4. შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა:

კვირა	თეორიული კურსი	დავალება
1.	დაზიანების არსი, მიზეზები და სახეები. მორფოლოგიური მექანიზმები (ინფილტრაცია, გაუკუღმართებული სინთეზი, ტრანსფორმაცია, დეკომპოზიცია), დაზიანების გამოვლინების სტრუქტურული დონეები და გამოსავალი. ფერმენტოპათიები.	მიკროსკოპული დიაგნოსტიკა
2.	გლიკოგენოზები, მათი სახეები. კოლოიდის კუმულაცია. მუკოვისციდოზი. შემადგენელი ქსოვილის დაზიანება. მუკოიდური შესიება, ფიბრინოიდული შესიება, ჰიალინოზი, ამილოიდოზი. ზოგადი გასუქება. კახექსია. ლიპომატოზი და რეგიონული ლიპოდისტროფიები. ოჯახური ჰიპერქოლესტერინემიული ქსანტომატოზი. ქრომოპროტეიდების, ნუკლეოპროტეიდების, ლიპოპროტეიდებისა და მინერალების კუმულაციები.	მიკროსკოპული დიაგნოსტიკა
3.	ქრომოპროტეიდების კუმულაცია: ენდოგენური პიგმენტები: ჰემოგლობინოგენური, პროტეინოგენური და ლიპიდოგენური. ლიპოფუსცინოზი, მოკარდისა და ღვიძლის ატროფია. ნუკლეოპროტეიდების ცვლის მოშლა: პოდაგრა, შარდკენჭოვანი დაავადება, შარდმუცვა ინფარქტი. მინერლების კუმულაციები: კალციუმის და ფოსფორის ცვლის მოშლა. რაქიტი, რენალური ნანიზმი. ჰიპერვიტამინოზი. სპილენძის ცვლის მოშლა. ჰეპატო-ცერებრული დისტროფია. კალიუმისა და ნატრიუმის ცვლის მოშლა. ქვების წარმოქმნა.	მიკროსკოპული დიაგნოსტიკა
4.	უჯრედის სიკვდილი. აპოპტოზი; ნეკროზი. აუტოლიზი. ნეკრობიოზის, პათობიოზისა და პარანეკროზის გაგება. ნეკროზის მიზეზებზე დამოკიდებული კლასიფიკაცია (ტრავმული, ტოქსიური, ტროფონეკროზული, ალერგიული, სისხლმილოვანი) და პათოგენური ფაქტორის მოქმედების მექანიზმი (პირდაპირი და არაპირდაპირი ნეკროზი). ნეკროზის კლინიკო-მორფოლოგიური ფორმები: კოაგულაციური (მშრალი და კოლიკვაციური (სველი) ნეკროზი, განგრენა. სიკვდილი, ცნება თანატოგენეზზე და რეანიმაცია.	მიკროსკოპული დიაგნოსტიკა; რეფერატი
5.	სისხლის მიმოქცევის ადგილობრივი და ზოგადი მოშლა. არტერიული და ვენური სისხლსავსეობა. სისხლნაკლებობა. ინფარქტი. ინფარქტის იშემიური (ნეკროზამდელი) და ნეკროზული სტადიის მორფოლოგია. ინფარქტის სახეები: თეთრი, თეთრი ჰემორაგიული არშიით და წითელი. სტაზი. სტაზის გამოსავალი. პრესტაზი, სისხლის შედედების ფენომენი.	მიკროსკოპული დიაგნოსტიკა
6.	თრომბოზი. მიზეზები, თრომბის ფორმირების მექანიზმი. ემბოლია. თრომბოზის და ემბოლიის მნიშვნელობა, რეტროგრადული და პარადოქსული ემბოლიები. ფილტვის არტერიის თრომბოემბოლია, როგორც სასიკვდილო გართულება. სისხლდენა გარეგანი და შინაგანი, სისხლჩაქცევა. ჰემორაგიული დიათეზი. პლაზმორაგია. ლიმფის მიმოქცევის უკმარისობა. ლიმფდენა - მწვავე და ქრონიკული. ლიმფის ქრონიკული შეგუბება. შეშუპება.	მიკროსკოპული დიაგნოსტიკა
7.	ანთების ბიოლოგიური არსი და მასზე წარმოდგენა. ანთების ეტიოლოგია და პათოგენეზი. რეგულაციის, ანთებისა და იმუნიტეტის ჰუმორული და ნერვული ფაქტორები. ალერგიული ანთება. ანთების მორფოლოგია: ალტერაცია, ექსუდაცია და პროლიფერაცია. ანთების კლასიფიკაცია: ბანალური და სპეციფიური, მწვავე და ქრონიკული ანთება. ალტერაციული ანთება. ექსუდაციური ანთება და მისი სახეები. კატარული ანთება და მისი სახეები. ანთება პოლიპებისა და მახვილწვერიანი კონდილომების წარმოქმნით. სპეციფიკური ანთება. სკლეროზი და ციროზი.	მიკროსკოპული დიაგნოსტიკა
8.	იმუნოპათოლოგიური პროცესები. იმუნომორფოლოგია და იმუნოპათოლოგია, იმუნომორფოლოგიური კვლევის მეთოდები. თიმუსის - ცენტრალური ლიმფოიდური ორგანოს მორფოლოგია და მორფოგენეზი; იმუნური	მიკროსკოპული დიაგნოსტიკა; რეფერატი

	რეაქციების ონტოგენეზი. მემკვიდრული იმუნოდეფიციტური სინდრომები. პერიფერიული ლიმფოიდური ქსოვილის მორფოლოგია და მორფოგენეზი ანტიგენური სტიმულაციის დროს. ზომიერი და შენელებული ტიპის ჰიპერმგრძობლობის ადგილობრივი ალერგიული რეაქციები. ტრანსპლანტაციური იმუნიტეტის რეაქციები. აუტოიმუნური დაავადებები.	
9.	კომპენსაცია და შეგუება. კომპენსატორულ-შეგუებითი პროცესის მიმდინარეობის ფაზები, მათი მორფოფუნქციური დახასიათება. რეგენერაცია. სტრუქტურული ელემენტების აღდგენის დონეები. რეგენერაციის უჯრედული და უჯრედშორისი ფორმები. რეგენერაციული პროცესების მორფოგენეზი, პროლიფერაციისა და დიფერენცირების ფაზები. ცნება კამბიალურ ელემენტებზე. რეგენერაციის სახეები: ფიზიოლოგიური, რეპარაციული, პათოლოგიური. სრული და არასრული რეგენერაცია. რეპარაციული რეგენერაციისა და ჰიპერტროფიის პროცესების სიახლოვე. რეგენერაციული ჰიპერტროფია.	მიკროსკოპული დიაგნოსტიკა
10.	ცალკეული ქსოვილებისა და ორგანოების რეგენერაცია. ჰიპერტროფიის სახეები: მუშაობითი (კომპენსატორული), ვიკარული, ნეირო-ჰუმორული, ჰიპერტროფიული ზრდა. ატროფია და მისი სახეები. ქსოვილების გადაკეთება და მეტაპლაზია. ორგანიზაცია და ინკაფსულაცია.	მიკროსკოპული დიაგნოსტიკა
11.	სიმსივნეები. სიმსივნის ეტიოლოგია. სიმსივნეების მორფოგენეზი და ჰისტოგენეზი: სიმსივნისწინარე (კიბოსწინარე) მდგომარეობა. სიმსივნეების გარეგნული სახე და აგებულება. უჯრედული და ქსოვილობანი ატიპიზმი. ანაპლაზია. კეთილთვისებიანი, ავთვისებიანი სიმსივნეები და ადვილზე მადესტრუირებული ზრდის სიმსივნეები: სიმსივნეების თანამედროვე კლასიფიკაცია.	მიკროსკოპული დიაგნოსტიკა; ჩათვლა ტესტებით
12.	სისხლის ავადმყოფობები. ანემიები. პოსტჰემორაგიული, ჰემოლიზური, ჰიპო-და აპლაზიური ანემიები. სისტემური დაავადებები (ლეიკოზები). მწვავე ლეიკოზი. მიელოციტური, ლიმფოციტური და მონოციტური წარმოშობის ქრონიკული ლეიკოზები. ლიმფომები. გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებები. ათეროსკლეროზი. ათეროსკლეროზი და მიოკარდიუმის ინფარქტი. ჰიპერტროფიული დაავადება. ჰიპერტროფიული კრიზის მორფოლოგია. ჰიპერტროფიული დაავადების კლინიკო-მორფოლოგიური ფორმები, სიკვდილის მიზეზები. ჰიპერტროფიული დაავადების, ათეროსკლეროზისა და მიოკარდიუმის ინფარქტის ურთიერთდამოკიდებულება.	მიკროსკოპული დიაგნოსტიკა; რეფერატი
13.	გულის იშემიური დაავადება. ეტიოლოგია და პათოგენეზი. რისკის ფაქტორები. მწვავე იშემიური დაავადება - მიოკარდის ინფარქტი. იშემიური, ნეკროზული სტადიები და მიოკარდიუმის ინფარქტის ორგანიზაციის სტადიის მორფოლოგია. გართულებები და სიკვდილის მიზეზები. გულის ქრონიკული იშემიური დაავადება მორფოლოგიური დახასიათება, გართულებები, სიკვდილის მიზეზები.	მიკროსკოპული დიაგნოსტიკა
14.	რევმატიზმური დაავადებები. შემაერთებელი ქსოვილის სისტემური დეზორგანიზაციის პროცესების ზოგადი მორფოლოგია. რევმატიზმი. რევმატიზმის ვისცერული გამოვლინება. გულის (ენდოკარდიტი, მიოკარდიტი, პერიკარდიტი, პანკარდიტი) და სისხლძარღვთა ცვლილებები. გულის რევმატიული მანკები. ფილტვების, ნერვული სისტემის, თირკმლების და სხვა ორგანოების ცვლილებები. გართულებები, სიკვდილის მიზეზები, სისტემური წითელი მგლურა. რევმატოიდური ართრიტი. კვანძოვანი პერიარტერიტი.	მიკროსკოპული დიაგნოსტიკა
15.	სასუნთქი სისტემის დაავადებები. მწვავე ბროქიტი. ფილტვების მწვავე ანთებითი დაავადებების კლასიფიკაცია. კრუპოზული პნევმონია. პნევმონიის წამლისმიერი ფორმები. კეროვანი პნევმონია (ბრონქოპნევმონია). ჰიპოსტატიური, ასპირაციული, ოპერაციის შემდგომი პნევმონია. ვირუსული, პნევმოკოკური, სტაფილოკოკური, სტრეპტოკოკური, პნევმოცისტური, სოკოვანი და ბრონქოპნევმონიის სხვა პათოგენეზური ფორმები. უჯრედშორისი პნევმონია (ინტერსტიციულ, პერიბრონქული). მწვავე დესტრუქციული ცვლილებები ფილტვებში აბსცესი, განგრენა. ქრონიკული არასპეციფიური	მიკროსკოპული დიაგნოსტიკა

	დაავადებები. ქრონიკული ბრონქიტი, ბრონქოექტაზები (ბრონქოექტაზური დაავადება), ქრონიკული აბსცესი - ქრონიკული პნევმონით, პნევმოსკლეროზი (პნევმოციროზი), ფილტვების ქრონიკული ობსტრუქციული ემფიზემა. ბრონქული ასთმა. ფილტვების ემფიზემა. ფილტვის ატელექტაზი და კოლაფსი. სისხლის მიმოქცევის მცირე წრის ჰიპერტონია (ფილტვისმიერი ჰიპერტონია) პირველადი და მეორადი, პათოგენეზი, ფილტვებისა და გულის ცვლილებების მორფოლოგიური დახასიათება, ფილტვისმიერი გული. პლევრიტი. ფილტვის კიბო.	
16.	საჭმლის მომნელებელი ორგანოების დაავადებები. ანგინა ეზოფაგიტი. მწვავე და ქრონიკული გასტრიტი. პილოროსტენოზი. კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი ავადმყოფობა. კუჭის კიბო. პეპტიური წყლული. მწვავე და ქრონიკული ენტერიტი. ენტეროპათიები. მწვავე და ქრონიკული კოლიტი. არასპეციფიური წყლულოვანი კოლიტი. აპენდიციტი. ნაწლავის სიმსივნეები. სწორი ნაწლავის კიბო. კარცინოიდი.	მიკროსკოპული დიაგნოსტიკა; რეფერატი
17.	ღვიძლის დაავადებები. მწვავე და ქრონიკული ჰეპატოზი. ღვიძლის ტოქსიური დისტროფია. ცხიმოვანი ჰეპატოზი (ღვიძლის სტეატოზი), ალკოჰოლის როლი ღვიძლის სტეატოზის განვითარებაში. მწვავე და ქრონიკული, პირველადი და მეორადი ჰეპატიტი. ვირუსული ჰეპატიტი. ალკოჰოლური ჰეპატიტი. ღვიძლის ციროზი, თანამედროვე კლასიფიკაცია. ციროზის ტიპები (პოსტნეკროზული, პორტული, ბილიარული, შერეული). ჰეპატოლიენალური სინდრომი, სიკვდილის მიზეზები, ღვიძლის ციროზი და კიბო. ღვიძლის კიბო. მწვავე და ქრონიკული პანკრეატიტი. კუჭქვეშა ჯირკვლების კიბო.	მიკროსკოპული დიაგნოსტიკა
18.	თირკმლის ავადმყოფობათა (ნეფროპათიების) თანამედროვე კლინიკო-მორფოლოგიური კლასიფიკაცია. გლომერულონეფრიტი. ნეფროზული სინდრომი. თირკმლების ამილიდოზი (ამილოდოზური ნეფროზი). მწვავე თირკმლისმიერი უკმარისობა (ნეკროზული ნეფროზი). ობსტრუქციული გენეზის ქრონიკული ტუბულოპათია. პარაპროტეინემიური ნეფროზი, ნიკრისული თირკმელი. მემკვიდრული ტუბულოპათიები. მწვავე და ქრონიკული პიელონეფრიტი. თირკმელ-კენჭოვანი დაავადება (ნეფროლითიაზი). კისტოზური (პოლიკისტოზური) თირკმლები. ნეფროსკლეროზი. თირკმლის ქრონიკული უკმარისობა.	მიკროსკოპული დიაგნოსტიკა
19.	წინამდებარე ჯირკვლის ჰიპერტროფია (დისჰორმონალური ჰიპერტროფული პროსტატოპათია). გინეკომასტია. საშვილოსნოს ღორწოვანი გარსის ჯირკვლოვანი ჰიპერპლაზია. სარძევე ჯირკვლების დისჰორმონალური ჰიპერპლაზია (დისპლაზია). საშვილოსნოს ყელის ფსევდოეროზია. მწვავე და ქრონიკული ენდომეტრიტი. მწვავე და ქრონიკული მასტიტი. საშვილოსნოს კიბო, კიბოსწინარე მდგომარეობა. სარძევე ჯირკვლის კიბო. ეკლამპსია, სიკვდილის მიზეზები. საშვილოსნოსგარე ორსულობა სახეები: მილოვანი, საკვერცხეების, მუცლის ღრუს. თვითნებური აბორტი, ნაადრევი მშობიარობა, მიზეზები. ბუშტნამქერი, პლაცენტური პოლიპი. საშვილოსნოს სამშობიარო ინფექცია.	მიკროსკოპული დიაგნოსტიკა
20.	ენდოკრინული სინდრომები, ასაკობრივი თავისებურებანი. აკრომეგალია. ცერებრული - ჰიპოფიზური კახექსია. იცენკო - კუშინგის დაავადება, სიკვდილის მიზეზები. უშაქრო დიაბეტი. ადისონის დაავადება, სიკვდილის მიზეზები. ჩიყვი - დიფუზური და კვანძოვანი, კოლიდური და პარენქიმული, ეპიდემიური, სპორადიული, ბაზედოვის ჩიყვი, ჰაშიმოტოსა და რიდელის ჩიყვი. სიკვდილის მიზეზები. ჰიპერპარათირეოზი. შაქრიანი დიაბეტი. დიაბეტური გლომერულოსკლეროზი. შაქრიანი დიაბეტის გართულებები. სიკვდილის მიზეზები.	მიკროსკოპული დიაგნოსტიკა; რეფერატი
21.	ინფექციური პროცესის განვითარების ბიოლოგიური და სოციალური ფაქტორები. ორგანიზმის რეაქტიულობა და ინფექცია, ასაკობრივი ფაქტორის მნიშვნელობა. ინფექციური პროცესის ზოგადი მორფოლოგია, ადგილობრივი და ზოგადი ცვლილებები. ინფექციის იმუნომორფოლოგია. ინფექციური დაავადებების კლასიფიკაცია. გართულებები და სიკვდილის მიზეზები.	მიკროსკოპული დიაგნოსტიკა

	ინფექციური დაავადებების პათომორფოზი. პრიონული ინფექციები. ვირუსული დაავადებები. გრიპი, პარაგრიპი, ნატურალური ყვავილი, ცოფი. რიკეტსიოზი. ეპიდემიური პარტახტიანი ტიფი. სპორადიული პარტახტიანი ტიფი. ქუცხელება.	
22.	ბაქტერიული ინფექციური ავადმყოფობები - ზოგადი მორფოლოგიური დახასიათება, ინფექციის თავისებურებანი და მისი გავრცელების გზები. ნაწლავური ბაქტერიული ინფექციები მუცლის ტიფი, საღმონელოზი, დიზენტერია, ქოლერა. შაერ-წვეთოვანი ბაქტერიული დაავადებები - მენინგოკოკური ინფექცია, დიფტერია. ანტროპოზოონოზები - შავი ჭირი, ტულარემია, ბრუცელაზი, ციმბირის წყლული.	მიკროსკოპული დიაგნოსტიკა
23.	ტუბერკულოზი. ჰემატოგენური, მეორადი ტუბერკულოზი. ტუბერკულოზის პათომორფოზი. სიფილისი. პირველადი, მეორადი, მესამეული პერიოდები. თანდაყოლილი სიფილისი. ვისცერული სიფილისი. სოკოვანი დაავადებები (მიკოზები) დერმატომიკოზები და ვისცერული მიკოზები. აქტინომიკოზი, კანდიდოზი. ბლასტომიკოზი, ასპერგილოზი. ინფექციური დაავადებები გამოწვეული უმარტივესებითა და ჰელმინთებით. მალარია, ამებიაზი, შებრუნებით ტიფი, ექინოკოკოზი, (ალევეოკოკოზი) შისტოზომატოზი. ბალანტიდიოზი, ცისტიცერკოზი, ტრიქინელოზი.	მიკროსკოპული დიაგნოსტიკა; რეფერატი
24.	სეფსისი - ეტიოლოგია, პათოგენეზი. მაკრო - და მიკროორგანიზმის ურთიერთკავშირი. სეფსისის კლასიფიკაცია, სეფსისის კლინიკონატომიური ფორმები: სეპტიცემია, სეპტიკოპიემია გართულებები სეპტიური ენდოკარდიტი, ქრონიოსეფსისი. ჭიპის სეფსისი. სიკვდილის მიზეზები, პათომორფოზი. ოპორტუნისტური ინფექციები.	მიკროსკოპული დიაგნოსტიკა; ჩათვლა ტესტებით

5. მოდულის შეფასების მეთოდები

№	შეფასების კომპონენტი	ქულა	რაოდენობა	მაქს. ქულა
4.	მიკროსკოპული დიაგნოსტიკა	5	24	120
5.	რეფერატი	5	6	30
6.	ჩათვლა ტესტებით	25	2	50
	საბოლოო შეფასება	-	-	200

პათოლოგიის მოდული ჩაბარებულად ითვლება, თუ სტუდენტი დააგროვებს **160 ქულას.**

6. აუცილებელი და რეკომენდებული ლიტერატურის ნუსხა:

- გ. ბურკაძე, გ. ტურაშვილი: ზოგადი პათოლოგიური ანატომია. 2005
- გ. ბურკაძე, გ. ტურაშვილი: კერძო პათოლოგიური ანატომია. 2006
- ო. ხარძეიშვილი: ზოგადი პათოლოგიური ანატომია. 2001
- ო. ხარძეიშვილი: კლინიკური პათოლოგიური ანატომია. 2005
- Kumar V., Abbas A., Fausto N., Mitchell R.: Robbins Basic Pathology. 8th edition, 2007
- Cotran R.S., Kumar V., Robbins S.L.: Robbins Pathologic Basis of Disease. 7th edition, 2005
- Cotran R.S., Kumar V., Collins T.: Robbins Pathologic Basis of Disease. 6th edition, 1999

მოდული 15. სასამართლო მედიცინა

1. მოდულის ხანგრძლივობაა - 12 კვირა – 72 დღე, 432 საათი
2. მოდულის მიზანია – პროგრამის I წლის რეზიდენტს მისცეს საფუძვლიანი თეორიული განათლება სასამართლო მედიცინაში და შექმნას წინაპირობა სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის საფუძვლების პრაქტიკულად შესწავლისათვის.
3. მოდულის ამოცანებია: რეზიდენტს მიაწოდოს ოპტიმალური თანამედროვე ინფორმაცია იმ სამედიცინო-ბიოლოგიური საკითხების შესახებ, რომელიც აღიძვრება სამართალდამცავი ორგანოების წინაშე გამოძიების ან სასამართლოს მიმდინარეობის პროცესში სისხლის

სამართლის ან სამოქალაქო საქმეების განხილვის დროს; მისცეს თეორიული ცოდნა სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის საპროცესო საფუძვლების, სასამართლო სამედიცინო თანატოლოგიის, სასამართლო სამედიცინო ტრავმატოლოგიის, ცოცხალ პირთა ექსპერტიზის, ბიოლოგიურ ნივთმტკიცებათა ექსპერტიზისა და სასამართლო სამედიცინო დენტოლოგიის შესახებ.

4. შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა მოცემულია ცხრილის სახით:

კვირა	საათი	თეორიული კურსი	უნარ-ჩვევები	დავალება
1.	36	სასამართლო მედიცინის საგანი და მისი განვითარების ისტორია. სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის საპროცესო საფუძვლები, მისი ორგანიზაცია და სტრუქტურა.	სასამართლო სამედიცინო დოკუმენტაციის შედგენა	აქტის შევსება
2.	36	სასამართლო სამედიცინო თანატოლოგია და გვამის ექსპერტიზა. კვდომა და სიკვდილი. სიკვდილის სასამართლო სამედიცინო კლასიფიკაცია. გვამური მოვლენები. სიკვდილის ხანდაზმულობის განსაზღვრა. გვამის დათვალიერება შემთხვევის ადგილზე.	შემთხვევის ადგილზე გვამის დათვალიერება	გვამის დათვალიერება მულაჟის გამოყენებით; რეფერატი
3.	36	ახალშობილთა გვამების სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა. ცოცხლადშობადობის, მკვდრადშობადობის, ნაყოფის მუცლადყოფნის ხანგრძლივობის, ახალშობილის სიცოცხლისუნარიანობისა და სიცოცხლის ხანგრძლივობის დადგენა. ჩვილთ-მკვლელობა. ახალშობილთა სიკვდილის მიზეზები.	შემთხვევის ადგილზე გვამის დათვალიერება	გვამის დათვალიერება მულაჟის გამოყენებით
4.	36	მექანიკური ასფიქსია. ზოგადი მორფოლოგიური ცვლილებები მექანიკური ასფიქსიის დროს. სტრანგულაციური, კომპრესიული და ობტურაციული ასფიქსიის სახეები. სითხეში დახრჩობის, წყალში სიკვდილის და გვამის წყალში ყოფნის სადიფერენციაციო ნიშნები.	შემთხვევის ადგილზე გვამის დათვალიერება	გვამის დათვალიერება მულაჟის გამოყენებით
5.	36	სასამართლო სამედიცინო ტრავმატოლოგია. ტრავმატიზმის სახეები. მექანიკურ დაზიანებათა კლინიკო-მორფოლოგიური ფორმები. სიკვდილის მიზეზები მექანიკური დაზიანების დროს. მკვრივი ბლაგვი საგნებით მიყენებული დაზიანებები. სიმაღლიდან ვარდნა და ვარდნა სიბრტყეზე. მახვილი იარაღით მიყენებული დაზიანებები. სხეულის სასიკვდილო დაზიანების დროს დაზარალებულის მიერ მიზანშეწონილი მოქმედების შესრულების შესაძლებლობა.	დაზიანებების აღწერა	დაზიანებების აღწერა მულაჟებზე; რეფერატი
6.	36	დაზიანებები სატრანსპორტო საშუალებებით. სპეციფიკური, დამახასიათებელი და არადამახასიათებელი დაზიანებები. ავტოტრანსპორტით, სარელსო, საჰაერო და წყლის ტრანსპორტით მიყენებული დაზიანებები.	დაზიანებების აღწერა	დაზიანებების აღწერა მულაჟებზე
7.	20	ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული დაზიანებები. ცეცხლსასროლი იარაღების კლასიფიკაცია. ცეცხლსასროლი ჭრილობის დიაგნოსტიკა. შესავალი და გამოსავალი ხვრელი. ჭრილობის არხი. სროლის მანძილის განსაზღვრა. იარაღის იდენტიფიკაცია. ფუჭი მუხტი. ფეთქებადი იარაღით მიყენებული დაზიანებები.	დაზიანებების აღწერა	დაზიანებების აღწერა მულაჟებზე; რეფერატი
6.	16	ჯანმრთელობის მოშლა და სიკვდილი ზოგიერთი ფიზიკური ფაქტორის მოქმედებით. უკიდურესად მაღალი და დაბალი ტემპერატურის, ელექტრო დენის, დაბალი და მაღალი ატმოსფერული წნევის, სხივური	დაზიანებების აღწერა	დაზიანებების აღწერა მულაჟებზე

		ენერჯის მოქმედებით განვითარებული დაზიანებები.		
8.	36	ცოცხალ პირთა სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა. სხეულის დაზიანების სიმძიმის ხარისხის განსაზღვრა. თვითდაზიანება. ხელოვნურად გამოწვეული მდგომარეობანი. სიმულაცია და დისიმულაცია, აგრაფაცია და დეზაგრაფაცია. გვემა და წამება.	სხეულის დაზიანების სიმძიმის ხარისხის განსაზღვრა	სიტუაციური ამოცანების ამოხსნა
9.	36	საეჭვო სქესობრივი მდგომარეობა და სქესობრივ სფეროში ჩადენილი დანაშაული. სქესობრივი კავშირის ფაქტის დადგენა. სქესობრივი სიმწიფისა და სქესის დადგენა. ორსულობა და აბორტი. დეფლორაცია. გაუპატიურება. გარყვნილი ქმედება. გაუკუმართებული სქესობრივი კავშირი.	სხეულის დაზიანების სიმძიმის ხარისხის განსაზღვრა	სიტუაციური ამოცანების ამოხსნა; <u>რეფერატი</u>
10.	36	სასამართლო სამედიცინო ტოქსიკოლოგია. ცნება შხამებზე და მოწამლევაზე. შხამის მოქმედების პირობები. ტოქსიკოდინამიკა. შხამების კლასიფიკაცია. მწვავე, დესტრუქციული, ფუნქციური, სისხლზე მოქმედი შხამებით მოწამლევა. საძილე საშუალებებით, ალკოჰოლის სუროგატებითა და ტექნიკური სითხეებით მოწამლევა. შხამქიმიკატები. კვებითი მოწამლევა. ნარკომანია და ტოქსიკომანია.	დამატებითი გამოკვლევისათვის ბიოლოგიური მასალის აღება	სიტუაციური ამოცანების ამოხსნა
11.	36	ნივთმტკიცებათა სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა. სისხლი, თესლის, ოფლის, ნერწყვის, შარდის, თმის, ძვლის და სხვა ბიოლოგიური წარმოშობის ობიექტების გამოკვლევა.	დამატებითი გამოკვლევისათვის ბიოლოგიური მასალის აღება	სიტუაციური ამოცანების ამოხსნა
12.	36	პიროვნების იდენტიფიკაცია. ასაკის დადგენა. სასამართლო სამედიცინო დონტოლოგია. საექიმო შეცდომა და დანაშაული. უბედური შემთხვევა საექიმო პრაქტიკაში. იატროგენია.	იდენტიფიკაცია და ასაკის დადგენა სიტუაციური ამოცანებით	სიტუაციური ამოცანების ამოხსნა; <u>რეფერატი</u>

5. მოდულის შეფასების მეთოდები

№	შეფასების კომპონენტი	ქულა	რაოდენობა	მაქს. ქულა
1.	აქტის შევსება	5	1	5
2.	შემთხვევის ადგილზე გვამის დათვალიერება მულაუს გამოყენებით	10	3	30
3.	დაზიანებების აღწერა მულაუებზე	10	4	40
4.	სიტუაციური ამოცანების ამოხსნა	5	5	25
5.	რეფერატი	10	5	50
6.	შუალედური ჩათვლა ტესტებით	50	1	50
საბოლოო შეფასება		-	-	200

სასამართლო მედიცინის მოდული ჩაბარებულად ითვლება, თუ სტუდენტი დააგროვებს 180 ქულას.

6. აუცილებელი და რეკომენდებული ლიტერატურის ნუსხა:

- გორდელაძე თ.დ.: სასამართლო მედიცინა. თბილისი, 2001.
- კილასონია ბ.ნ.: სასამართლო მედიცინა. თბილისი, 2011.
- კილასონია ბ.ნ.: სასამართლო ტოქსიკოლოგია. თბილისი, 2005.
- შანიძე ვ.ს.: სასამართლო მედიცინა. თბილისი, 1970.
- სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარებისა და შესაბამისი სამედიცინო პერსონალის საქმიანობის წესის შესახებ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი. 2006 წ.
- DiMaio V.J., DiMaio D.: Forensic Pathology, 2nd ed., USA, 2001
- Knight B.: Forensic Pathology, II ed., London, 1996
- Knight B.: Simpson's Forensic Medicine. 10th ed., London, 1991

- Shepherd R.: Simpson's Forensic Medicine. 12th ed., London, 2003
- Spitz W.U.: Spitz and Fisher's Medicolegal Investigation of Death. USA, 1993
- Stark M.M.: Clinical Forensic Medicine – A Physician's Guide, 2nd ed., USA, 2005
- Крюков В.Н.: Судебная медицина. 2008
- Томилин В.В., Пашинян Г.А.: Руководство по судебной медицине. 2001

III. პროფესიული მზადების II ფლის მოდულები

მოდული 2.1. ტრავმატოლოგია

1. მოდულის ხანგრძლივობა – 2 კვირა – 12 დღე, 72 საათი
2. მოდულის მიზანია – რეზიდენტმა შეიძინოს თეორიული და კლინიკური ცოდნა ტრავმატოლოგიაში, რაც საფუძვლად დაედება მის პროფესიულ მომზადებას სასამართლო ტრავმატოლოგიაში და გამოუმუშავეს უნარს სწორად შეაფასოს მკვრივი ბლაგვი და მახვილი საგნებით მიყენებული, სატრანსპორტო და ცეცხლანსროლი დაზიანებები, მოახდინოს დიფერენციაცია ძვლების ტრავმულ და არატრავმულ დაზიანებებს შორის, კვალიფიციურად იმსჯელოს დაზიანების მიყენების მექანიზმზე მოტეხილობებისა და სხვა მექანიკური დაზიანებების მახასიათებლების მიხედვით.
3. მოდულის ამოცანებია:
 1. ტრავმასა და ტრავმატიზმზე ზოგადი ცოდნის მიღება; პოლიტრავმის კონცეფციის სწორად გაგება;
 2. ტრავმული დაზიანების სიმძიმის განსაზღვრის, ტრავმული შოკის მექანიზმისა და დიაგნოსტიკის პრინციპების ათვისება;
 3. ტრავმული პაციენტის კლინიკური გამოკვლევის უნარ-ჩვევის გამომუშავება;
 4. ტრავმული დაზიანებების დიაგნოსტიკა სხეულის მიდამოების მიხედვით; დაზიანების რენტგენოდიაგნოსტიკა;
 5. ძვალ-სახსართა სისტემის თანდაყოლილი დაავადებების დიაგნოსტიკა და დიფერენციაცია ტრავმული დაზიანებებისაგან;
 6. საყრდენ-მამოძრავებელი სისტემის ტრავმული დაზიანების გართულებების დიაგნოსტიკა და მათი მნიშვნელობის შეფასება დაზიანების სიმძიმის განსაზღვრისას;
 7. საყრდენ-მამოძრავებელი სისტემის ორგანოთა სიმსივნური დაზიანებების დიაგნოსტიკა და მათი დიფერენციაცია.
4. შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა:

დღე	თეორიული კურსი	დავალება
1.	ტრავმა და ტრავმატიზმი. პოლიტრავმა. ტრავმული შოკი. საყრდენ-მამოძრავებელი სისტემის დაზიანების სიმძიმის განსაზღვრა. ტრავმული დაავადება. მიმდინარეობის ეტაპები, ვადები და თავისებურებები.	
2.	ტრავმული პაციენტის კლინიკური გამოკვლევა – ანამნეზი, ინსპექცია, პალპაცია.	პაციენტის გამოკვლევა
3.	ტრავმული დაზიანებები. ჭრილობები. ხანგრძლივი ზეწოლის სინდრომი. თერმული დაზიანებები. მოყინვა.	
4.	ძვალ-სახსართა სისტემის ტრავმული დაზიანებები. მოტეხილობათა კლასიფიკაცია, დახურული მოტეხილობების დიაგნოსტიკა, კლინიკა. ამოვარდნილობათა კლასიფიკაცია; ტრავმული ამოვარდნილობები – კლინიკა, დიაგნოსტიკა. მოტეხილობათა კონსოლიდაციის ვადები. შეუხორცელებელი მოტეხილობა.	დაზიანების რენტგენო-დიაგნოსტიკა
5.	რბილი ქსოვილების ტრავმული დაზიანებები. ხანგრძლივი ზეწოლის; ფუტლარული სინდრომი. მყესების მაგისტრალური სისხლძარღვებისა და ნერვების დაზიანებები. მხრის ორთავა და აქილევსის დაზიანება. თითების მყესების დაზიანება და მათი აღდგენის თავისებურებანი.	

6.	ზემო კიდურის დაზიანებები. ბეჭის ძვლის მოტეხილობები. ლავიწის ძვლის მოტეხილობები. ლავიწის ამოვარდნილობები. მხრის ძვლის პროქსიმალური ბოლოს, დიაფიზის და დისტალური სახსარშიდა მოტეხილობები. მონტეჯისა და გოლიაცის მოტეხილობები. წინამხრის ძვლებს მოტეხილობები. სხივის ძვლის მოტეხილობა ტიპიურ ადგილას. მტკვნის ტრავმული დაზიანებები.	რეფერატი
7.	ქემო კიდურის დაზიანებები. მენჯის ძვლების მოტეხილობები. ბარძაყის ძვლის პროქსიმალური, დიაფიზური და ქვემო მესამედის მოტეხილობები. მუხლის სახსრის და წვივის დაზიანებები. მენისკებისა და მუხლის სახსრის იოგოვანი აპარატის დაზიანებები. ართროსკოპიის დიაგნოსტიკური ღირებულება. წვივის ძვლების პროქსიმალური სახსარშიდა მოტეხილობები. წვივის ძვლების დიაფიზური მოტეხილობები. წვივის ძვლების დისტალური სახსარშიდა მოტეხილობები. ტერფის ძვლების მოტეხილობები.	
8.	ხერხემლის სვეტის დაზიანებები. ოსტეოქონდროზი. ხერხემლის სვეტის არასტაბილობა, სპონდილოლისთეზი. ხერხემლის სვეტის ტრავმული დაზიანება. ნეკნების დაზიანებები.	დაზიანების რენტგენო-დიაგნოსტიკა
9.	თავისა და კისრის დაზიანებები. ქალასარქველისა და ქალას ფუძის მოტეხილობები. სახის ძვლების მოტეხილობები. კისრის ძვლების მოტეხილობა, ამოვარდნილობა, ღრძობა. თავისა და კისრის რბილი ქსოვილების ტრავმული დაზიანებები.	
10.	ძვალ-სახსართა სისტემის თანდაყოლილი დაავადებები. ბარძაყის ძვლის თავის თანდაყოლილი ამოვარდნილობა, მადეფორმირებელი ართროზი. ხერხემლის და გულმკერდის ყაფაზის დეფორმაციების დიაგნოსტიკა - სქოლიოზი, კიფოზი, დამატებითი მალა, სპინა ბიფიდა. საყრდენ-მამოძრავებელი სისტემის თანდაყოლილი და შექნილი დეფორმაციები - კისერმრუდობა, მადელუნგის დეფორმაცია, ტერფმრუდობა.	პაციენტის გამოკვლევა
11.	ღია და ცეცხლნასროლი მოტეხილობები. ოსტეომიელიტი და ჩირქოვანი გართულებები საყრდენ-მამოძრავებელი სისტემის ტრავმული დაზიანებისას. შეუხორცებელი მოტეხილობები, ცრუ სახსარი. ტრავმული ამპუტაციები. ტაკვი.	რეფერატი
12.	სიმსივნური დაზიანებები. ძვალწარმოქმნელი კეთილთვისებიანი და ავთვისებიანი სიმსივნეები. ხრტილწარმოქმნელი კეთილთვისებიანი და ავთვისებიანი სიმსივნეები. შემაერთებელ ქსოვილოვანი კეთილთვისებიანი და ავთვისებიანი სიმსივნეები.	ჩათვლა ტესტებით

5. მოდულის შეფასების მეთოდები

№	შეფასების კომპონენტი	ქულა	რაოდენობა	მაქს. ქულა
1.	პაციენტის გამოკვლევა	15	2	30
2.	დაზიანების რენტგენო-დიაგნოსტიკა	15	2	30
3.	რეფერატი	10	2	20
4.	ჩათვლა ტესტებით	20	1	20
საბოლოო შეფასება		-	-	100

ტრავმატოლოგიის მოდული ჩაბარებულად ითვლება, თუ სტუდენტი დააგროვებს **80 ქულას**.

6. აუცილებელი და რეკომენდებული ლიტერატურის ნუსხა:

- ჯ. გოგუაძე: ტრავმატოლოგია და ორთოპედია. 2002
- Юмашев: Травматология и ортопедия. 2002
- Анкин Л.Н., Анкин Н. Л.: Практическая травматология европейские стандарты диагностики и лечения. 2002

მოდული 2.2. მეანობა-გინეკოლოგია

1. მოდულის ხანგრძლივობა – 2 კვირა – 12 დღე, 72 საათი

2. მოდულის მიზანია – რეზიდენტმა შეიძინოს თეორიული და კლინიკური ცოდნა მეანობა-გინეკოლოგიაში, რაც საფუძვლად დაედება მის პროფესიულ მომზადებას სასამართლო სამეანო-გინეკოლოგიურ ექსპერტ-ზაში.

3. მოდულის ამოცანებია:

1. ცოდნის შექმნა ქალის სასქესო ორგანოების ანატომიისა და განვითარების ანომალიების შესახებ და მიღებული ცოდნის გამოყენება საეჭვო სქესობრივი მდგომარეობების ექსპერტიზის დროს;
2. გინეკოლოგიურ პაციენტთა კვლევის მეთოდების გაცნობა და მათი გამოყენება ცოცხალ პირთა გამოკვლევისას სამეანო-გინეკოლოგიური ექსპერტიზის დროს;
3. ცოდნის შექმნა მენსტრუალური ციკლის ნორმისა და პათოლოგიის სხვადასხვა ფორმის შესახებ და ამ ცოდნის გამოყენება ორსულობისა და ყოფილი ორსულობის დადგენის დროს;
4. ცოდნის შექმნა აბორტის ფორმებისა და მათი გართულებების შესახებ და მიღებული ცოდნის გამოყენება უკანონო აბორტის შემთხვევების სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის დროს;
5. ცოდნის შექმნა ნეიროენდოკრინული დარღვევებისა და სასქესო ორგანოების სიმსივნური დაავადებების შესახებ, ორსულობასთან დაკავშირებული ცვლილებებისა და პათოლოგიების შესახებ;
6. ცოდნის შექმნა ფიზიოლოგიური, ნაადრევი და ვადაგადაცილებული მშობიარობების შესახებ და ამ ცოდნის გამოყენება ჩვილთმკვლელობასთან დაკავშირებული სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზების დროს;
7. ცოდნის შექმნა ორსულობით გამოწვეული პათოლოგიური მდგომარეობებისა და მეანობაში პათოლოგიური სიტუაციების შესახებ და მიღებული ცოდნის გამოყენება მკვდრადშობილობისა და ახალშობილის სიკვდილის მიზეზების დადგენისას.

4. შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა:

